პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 215 (20556) ◆ კვირა, 17 სექტემბერი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

18 სექტემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების ხელმძღვანელობასთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები ა.-მ. კ. ბრაზაუსკასი, ი. ი. ვაგრისი, ვ. ი. ვიალიასი, რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეები ვ. ს. ასტრაუსკასი, ა. ვ. გორბუნოვი, ა. ფ. რიუიტელი, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები ვ. ვ. საკალაუსკასი, ვ.-ე. გ. ბრესისი, ი. ხ. ტოომე.

კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველმა მდივნებმა გენერალურ მდივანს გააცნეს თავიანთ რესპუბლიკებში შექმნილი ვითარება, რეაქცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის განცხადებაზე, ჩამოაყალიბეს თავიანთი მიდგომები წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისადმი. აღინიშნა, რომ რესპუბლიკების ეკონომიკა სავსებით ნორმალურად ვითარდება, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები წარმატებით სრულდება. მაგრამ პოლიტიკური სიტუაცია [illegible] რთულია. იგი იწვევს კანონიერ შეშფოთებას, რომელიც გამოიხატა სკკპ ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში. ბალტიისპირეთის ყოველ რესპუბლიკას აქვს დამახასიათებელი თავისებურებანი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია როგორც პოლიტიკური ძალების განაწილების, მათი სამოქმედო პროგრამების შეფასებისას, ისე გარდაქმნის წინსვლის, ეროვნებათაშორისი პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიების დროს.

საუბრისას ითქვა, რომ წინააღმდეგობრივი განწყობილებებისა და განვითარების გზების ძიების რთულ ხლართში, ადამიანთა სულ უფრო სწრაფად მზარდი პოლიტიკური აქტიურობის პირობებში პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის როდი პოულობენ სწორ ორიენტირებს. საქმეს აფერხებს უსტანდარტო სიტუაციებში ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილების ნაკლებობა და კადრების მომზადების დონე. ყოველთვის როდი იჩენენ ჯეროვან სიმტკიცეს წმინდა წყლის ექსტრემისტული შეხედულებების, კანონმდებლობის დარგში ამა თუ იმ წინადადებისა და კონკრეტული ნაბიჯის პოლიტიკური შეფასების დროს.

პრინციპული პოზიციებიდან მიმდინარე დიალოგი, საჯაროობა პარტიის გეზის განსაზღვრაში, გარდაქმნის მთელი ჯანსაღი ძალების ინტეგრაცია, ამოცანების გადმოცემის სიცხადე — ეს არის ერთადერთი გზა, რომელიც ხელს შეუწყობს დაძაბულობის დაძლევას, ეროვნებათაშორის ურთიერთობაში გაუგებრობის აღკვეთას. ასეთი იყო შეხვედრის მონაწილეთა საერთო დასკვნა.

შეეხნენ იმ საკითხს, რომ უნდა ამაღლდეს რესპუბლიკების კომპარტიათა როლი, მათი დამოუკიდებლობა, მიენიჭოთ კომპარტიებს შესაძლებლობა სკკპ ერთიანი პროგრამისა და წესდების ფარგლებში თავად წყვეტდნენ მთელ რიგ ორგანიზაციულ საფინანსო, საკადრო და სხვა საკითხებს, შეიმუშაონ რესპუბლიკების კონკრეტულ თავისებურებათა და ტრადიციათა შესატყვისი მოქმედების გზები.

გამოითქვა მთელი რიგი მოსაზრებანი საბჭოთა ფედერაციის განვითარების, რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცების, ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოების პრობლემებზე. აღინიშნა, რომ ამ პრობლემების ირგვლივ განსაკუთრებით ცხარე დისკუსიები მიმდინარეობს. საბჭოთა ბალტიისპირეთის მშრომელნი, რომლებსაც თავიანთი მომავალი სსრ კავშირის შემადგენლობაში ესახებათ, საჭიროდ ცნობენ რესპუბლიკის სუვერენიტეტის რეალურ შევსებას პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსით, უსწრაფეს გადასვლას სამეურნეო ანგარიშზე. ამიტომ ადგილებზე ნეგატიურად აღიქვამენ ყოველგვარ გაჭიანურებას, უწყებრივ მიდგომას ამ საქმეში.

შეშფოთებით ილაპარაკეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობაზე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ პრესის გამოსვლები ყოველთვის როდი ემსახურება გარდაქმნის აღმშენებლობითს მიზნებს, ხოლო ხშირად მათ გადავყავართ ძველი თუ ახალი წყენის, გადაბრალება-გადმობრალების, ისეთი საკითხებისა და საზრუნავის ჭაობში, რომლებიც შორს არის საბჭოთა ადამიანების ჭეშმარიტი ინტერესებისაგან. გამოითქვა სურვილი, რომ მასობრივი ინფორმაციის ცენტრალური საშუალებანი იჩენდნენ მეტ მოქნილობასა და უფრო ღრმა წვდომას საბჭოთა ბალტიისპირეთში მიმდინარე პროცესების არსში, მათს არაერთგვაროვნებაში, აშუქებდნენ მოვლენებს მეტი ტაქტით.

შეხვედრაზე გამოსვლისას მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ გარდაქმნის პროცესს რეალური ცვლილებების სტადია დაუდგა, იგი ეხება შრომითს კოლექტივებს, მოკავშირე რესპუბლიკებს, პარტიას, ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ინსტიტუტს, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების განხილვასა და გადაწყვეტაში სულ უფრო აქტიურად ებმებიან მშრომელთა მასები. საზოგადოებაში მტკიცდება იმის გაგება, რომ მარაგნაკეთი, რომელიც ახლა იქმნება, ათწლეულებისათვის განსაზღვრავს სახელმწიფოს ბედს. ადამიანები თანდათან გამოდიან ილუზიების ტყვეობიდან, აღარ სწამთ მარტივი და იოლი გადაწყვეტების სასწაულმოქმედი ძალა, აღარ არიან იმის იმედით, რომ მათ მაგივრად ვიღაც ზემდგომი გაართმევს თავს ყველა პრობლემას. ყველგან მკვიდრდება ის აზრი, რომ გარდაქმნა დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, შრომასთან — შემოქმედებითს, დაძაბულ, ნაყოფიერ, შრომასთან, დისციპლინასთან, წესრიგთან, უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

მომენტის თავისებურება და, კაცმა რომ თქვას, მთავარი სიძნელე ის არის, რომ პერსპექტიული ამოცანები, რომლებიც დღეს წყდება და რომლებიც ქვეყანას ახალ საფეხურზე აიყვანენ, აწყდება ადამიანთა მიმდინარე საჭიროებების გამომხატველ აღმაშფოთებელ პრობლემებს. ეს არის სასაქონლო დეფიციტი, ეკოლოგია. საჭიროა აქტიურად ვიმოქმედოთ, არ დავკარგოთ ორიენტირები, არ ავყვეთ პანიკას, არ შევასუსტოთ ინიციატივა. პარტიამ გამოიწვია პროცესები, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს საზოგადოებაში და მას აქვს რეალური უფლება აქტიურად იმოქმედოს.

საჭიროა კონსოლიდაცია, შემხვედრი მოძრაობა, გონივრული კომპრომისების ძიება, მაგრამ არის სამი პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი დებულება, რომლებსაც ჩვენ ვერ დავთმობთ, არ გვაქვს უფლება დავთმოთ საბჭოთა ხალხისა და ბალტიისპირეთის ხალხების ინტერესებისათვის.

პირველი. ყველა ჩვენი პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ფედერაციის ფარგლებში, მხოლოდ საერთო ძალისხმევით.

მეორე. ჩვენი პარტიის ერთიანობა. იგია გარდაქმნისა და ეროვნული აღორძინების პროცესის ძირითადი გარანტი. პარტიის გარდა, სხვა ვერავინ შეძლებს განახორციელოს ეს სამუშაო გეგმაზომიერად, მიზანდასახულად, მიიყვანოს იგი ბოლომდე.

მესამე. ყველა ეროვნების მოქალაქეთა უფლებების თანასწორობა.

ყოველივე ეს არის პარტიის ეროვნული პოლიტიკის ქვაკუთხედი, ეროვნებათშორისი ურთიერთობების ჰარმონიზაციის პირობა.

ყოველ რესპუბლიკას, თითოეულ რეგიონს აერთიანებს სხვებთან, მთელ ქვეყანასთან სამეურნეო საზოგადოებრივი, კულტურული, მეცნიერულ-ტექნიკური და უბრალოდ ადამიანური კავშირის ათასობით უხილავი ძაფი. ჩვენ, როგორც ამბობენ, ერთმანეთს შევეზარდენით.

და ახლა სიტუაციით, ამ ცოცხალი კავშირურთიერთობის რღვევამდე რომ მიგვიყვანა, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, ჩვენ რესპუბლიკებს, ქვეყანას ათწლეულით უკან გადავისროდით. მხოლოდ ერთი მაგალითი: ლატვიის ქარხანა „რაფ"-ს ქვეყანაში ასობით მიმწოდებელი საწარმო ჰყავს.

სკკპ პლატფორმის პროექტი პროგრესულია, იგი გვაძლევს სწორ გეზს მთავარში — პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების მთელი კომპლექსის პრაქტიკული გადაწყვეტის, სამეურნეო ანგარიშის დანერგვის, ხოლო მისი მეშვეობით — ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის განმტკიცების, სუვერენიტეტის რეალური შინაარსით შევსებით საქმეში.

საჭიროა, მტკიცედ ვიაროთ ამ გზით. ზოგადი მსჯელობით და დეკლარაციებით კი არ უნდა შემოვიფარგლოთ, არამედ უმთავრესი ყურადღება დავუთმოთ კონკრეტულ საქმეებს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის საწარმოთა მოსამზადებლად, გადასახადის, სხვა ეკონომიკური ნორმატივების დეტალურ გაანგარიშებებს, საწარმოთა რთული ჰორიზონტალური კონტაქტების მთელი სისტემის, ორგანიზაციული ფორმების დახვეწას.

საქმე უნდა ეხებოდეს არა უბრალოდ საწარმოთა დაქვემდებარების შეცვლას, ერთი ბიუროკრატიის ნაცვლად მეორის შემოღებას, არამედ შრომის ღრმა დანაწილების უპირატესობათა გამოყენებას, საუწყებო ტიხრების მოშლას, ინიციატივისათვის გზის გახსნას. არ გავწყვიტოთ ცოცხალი კავშირი, ვიქონიოთ საქმე ინტეგრაციის რეალობებთან ვიღვაწოთ მისი ეფექტიანობის გაზრდისათვის.

უნდა გამოინახოს რესპუბლიკური და საკავშირო სამეურნეო კომპლექსების ოპტიმალური შეხამების გზები, განისაზღვროს ერთიანი საკავშირო სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფარგლებში ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ წინსვლის ეტაპები. აქ არის თეორიული ხასიათის ობიექტური სიძნელეებიც: ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემის მეცნიერული დამუშავების არარსებობა, როგორიცაა საკუთრების პრობლემა, ჩვენ, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, აქ ვაბრუნებთ ახალ უზარმაზარ ფენას, საფუძველს ვუყრით ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს დავაფუძნოთ ახლებური ურთიერთობა რეგიონალურ და რესპუბლიკურ დამოუკიდებლობაზე.

რეგიონალურმა სამეურნეო ანგარიშმა, რომელიც რესპუბლიკებს უფლებათა მაქსიმუმს ანიჭებს, არ უნდა მოშალოს ფედერაციით ნაბოძები უპირატესობანი, ფინანსების, კრედიტისა და ფულის დარგში საერთო-სახელმწიფოებრივი (საკავშირო) პოლიტიკის გატარების შესაძლებლობანი. და აქაც მთავარია, მისი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური საფუძვლები შევცვალოთ ეკონომიკური საფუძვლებით.

საჭიროა ერთად ვეძებოთ რთული საკითხების გადაწყვეტის გზები, ჩამოვაყალიბოთ სპეციალისტთა და მეცნიერთა ავტორიტეტული საკავშირო-რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფები ყველა დონის სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო და მეთოდიკური უზრუნველყოფის საკითხთა დასახვეწად. საბოლოო ანგარიშით ჩვენ შევძლებთ ახალი სიცოცხლე შთავბეროთ შრომის სარესპუბლიკათშორისო დანაწილების პრაქტიკას, მოვაცილოთ მას დანაშრევი დეფორმაციები, მოვიგოთ რაციონალური სპეციალიზაციისა და ინტეგრაციის მეშვეობით.

სამეურნეო ანგარიშს, მისი მეშვეობით საწარმოთა ინიციატივის გამოთავისუფლებასა და გაძლიერებას უკავშირდება ხალხის განწყობილება და მოლოდინი. და ეს მოლოდინი უნდა გავამართლოთ. ეს არის დიდი პოლიტიკის საკითხი, ყველა დონეზე დაინტერესების, მთელი შეძენილი სამეცნიერო, საწარმოო და საკადრო პოტენციალების გამოყენების მექანიზმის რეალური ჩართვის საკითხი. აქ დაუშვებელია ყოველგვარი შეფერხებანი.

შეეხო რა რესპუბლიკების სუვერენიტეტის პოლიტიკურ და სამართლებრივ შინაარსს, მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არის დიდი და მრავალმხრივი საკითხი, რომელსაც თავისი ისტორია აქვს. თეორიამაც და პრაქტიკამაც კომპლექსურად უნდა შეისისხლხორცონ მთელი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, თორემ სხვაგვარად შეიქმნება ილუზიები ფედერაციის განვითარების გზებზე, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ემოციებს დაემყარება.

სკკპ პლატფორმა, აყალიბებს რა ჩვენი ფედერაციის სრულყოფის პრინციპებს, ითვალისწინებს ყველა ამ გარემოებას. უნდა გამოვავლინოთ ფედერაციის მთელი პოტენციალი. მის ფარგლებში რესპუბლიკების სუვერენიტეტმა შეიძლება პოვოს ყველაზე ფართო შესაძლებლობანი ყველა მიმართულებით.

მ. ს. გორბაჩოვმა დიდი ყურადღება დაუთმო პარტიული ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის, საჯაროობის, პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფის საკითხებს. ითქვა, რომ გარდაქმნის გზებზე წარმატებას მივაღწევთ მხოლოდ პარტიის რიგების ერთიანობის, საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციის წყალობით, საზოგადოებისა, რომელშიც მაინტეგრირებელ როლს უნდა ასრულებდეს პარტია. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა: ახლა, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკის ღრმა გარდაქმნა დაიწყო, მიმდინარეობს ძირეული ცვლილებები საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, გამწვავდა ეროვნული განვითარებისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების პრობლემები, დიდი ისტორიული შეცდომა იქნებოდა შევვესუსტებინა ისეთი მძლავრი პოლიტიკური ორგანიზმი, როგორიც არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ამ მხრივ პარტიის აგებულებაში ფედერალიზმის იდეა დამღუპველია მისი ერთიანობისათვის.

ამავე დროს უეჭველია ისიც, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიებს უნდა მიენიჭოთ მეტი დამოუკიდებლობა შინაპარტიული ცხოვრების საარსებო საკითხთა გადაწყვეტაში, საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების კომპარტიათა ავტორიტეტის ამაღლებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს კოლექტიურ საფუძველზე შემუშავებულმა მოქმედების პროგრამებმა, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს როგორც ეროვნული განვითარების მომწიფებული პრობლემების გადაჭრის რეალურ მოთხოვნილებებს, ისე შეიცავდეს ზუსტ პოზიციას სსრ კავშირის როგორც ფედერაციული სოციალისტური სახელმწიფოს და მასში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაკონსოლიდირებელი როლის განმტკიცების პრინციპულ საკითხებში.

უმნიშვნელოვანეს ამოცანას, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, წარმოადგენს საბჭოთა რესპუბლიკების თანამშრომლობის განმტკიცება იმ საფუძველზე, რომ თანამიმდევრულად ხორციელდებოდეს ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და ადამიანთა თანასწორუფლებიანობის კონსტიტუციური პრინციპი, სადაც უნდა ცხოვრობდნენ ისინი. ეროვნული ნიშნის მიხედვით მოქალაქეთა უფლებების შელახვის ყოველგვარი ცდა უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა სახელმწიფოებრიობისა და ჰუმანიზმის პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად.

შეეხო რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პასუხისმგებელ როლს, მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ საჭიროა პრესის ფურცლებზე დავაბრუნოთ შრომის თემა, ვწეროთ მშრომელ ადამიანებზე, განვუმტკიცოთ მათ იმის შეგნება, რომ გარდაქმნის ნაყოფი საბოლოო ანგარიშით დაკავშირებულია ყოველი ადამიანის შემოქმედებითს, დაძაბულ და დაინტერესებულ შრომასთან. ჟურნალ-გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს დღეს განსაკუთრებით მოეთხოვებათ დაკვირვება და ალალმართლობა, კრიტიკული ანალიზი და კონსტრუქციულობა. მათ უნდა აამაღლონ ჟურნალისტის პირადი როლი, მისი მოქალაქეობრივი პოზიციის შესატყვისობა. პარტიულ კომიტეტებს უნდა ჰქონდეთ ჟურნალისტებთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებთან ყოველდღიური ურთიერთობისა და მუშაობის სისტემა. არ შეიძლება იგი სხვას დავაკისროთ, ეს უშუალოდ პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის საქმეა.

მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკების ხელმძღვანელობას კვლავაც ექნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მხრივ მხარდაჭერა და ნდობა იმ საქმეებში, რომლებიც გარდაქმნის კალაპოტით მიმდინარეობს და შეესაბამება ამ რესპუბლიკების, მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მისწრაფებებსა და საზრუნავს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

(საქპრესი).

ჰიდრომშენებლები მეტროს აშენებენ

თბილისის მეტროპოლიტენის საბურთალოს ხაზის მშენებლობაზე სამუშაოები მნიშვნელოვნად გააქტიურდა მას შემდეგ, რაც ამ სამი თვის წინათ მეტრომშენებელთა კოლექტივს შეემატნენ ახალგაზრდა სპეციალისტები ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მიწისქვეშა ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოდან. ისინი დიდი ხნის მანძილზე ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე მუშაობდნენ. ახლა საზოგადოებრიობის მოთხოვნით მისი მშენებლობა შეჩერებულია. ჰიდრომშენებლები კი მეტრომშენებლებად გადაიქცნენ. დღეს 39 ენერგიული ახალგაზრდა № 51 შახტში შრომობს. ისინი აშენებენ „ვაჟა-ფშაველას" სადგურის მომავალ მიწისქვეშა ტრასას.

სურათზე: ცვლის უფროსი დავით გულია (მარჯვნივ) და გვირაბგამყვანი ალექსი ჩაბანოვი.

საქინფორმის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკური სუვერენიტეტი: წუხილი და იმედები

ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების პროექტი. ამ დროის მანძილზე მთავრობის კომისიას, რომელმაც დოკუმენტი შეიმუშავა, ასობით წერილი მოუვიდა. პროექტს ფართოდ განიხილავდნენ პრესის ფურცლებზე და ტელევიზიით, შრომითს კოლექტივებში. გამოითქვა სრულიად განსხვავებული მოსაზრებანი და თვალსაზრისი. ეს ბუნებრივიცაა: გზის დასაწყისში არ შეიძლება იყოს ერთი ჭეშმარიტება, ერთი უნივერსალური საზომი. საჭიროა ყოველმხრივ მისაღები საერთო პლატფორმის კოლექტიური ძიება.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში განიხილეს ერთიანი პოზიციის შემუშავებასთან დაკავშირებული პრობლემები. აქ მორიგი სხდომა გამართა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხთა კომისიამ, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან მოქმედებს. სხდომაში მონაწილეობდნენ მთელი რიგი დარგებისა და უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელები, წამყვანი მგეგმავები, ეკონომისტები, იურისტები, მეცნიერები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სხდომას უძღვებოდა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე ომარ ვარძელაშვილი.

რვა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელებმა კომისიის წევრებს გააცნეს ვითარება და გამოიტანეს დასკვნა პროექტის ცალკეულ განყოფილებათა გამო შემოსულ შენიშვნებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მოისმინეს აგრეთვე ინფორმაცია საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით საქართველოს სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის სიტუაციური მოდელების შემუშავების მიმდინარეობის შესახებ.

პრობლემათა განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვილენ ალავიძე, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის, ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუტის დირექტორი ვალერიან ადვაძე, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დემურ დვალიშვილი, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვლადიმერ პატეიშვილი, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ოთარ კაკაურიძე, შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რუსუდან ჯაფარიძე, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბაკურ გულუა, პროფესორი დავით ძნელაძე, დოცენტი რომან გოცირიძე, დემოგრაფი გიორგი ფირცხალავა, პროფესორი ომარ ქეშელაშვილი, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამმართველოს უფროსი ედუარდ ცირამუა და სხვები.

აღინიშნა, რომ პროექტი უნდა დაიხვეწოს საზოგადოებრიობის სურვილების, ყველა იმ პოზიციის გათვალისწინებით, რომლებიც წამოაყენეს სპეციალისტებმა და იმათ, ვისაც გული შესტკივა რესპუბლიკის მომავლისათვის.

ეკონომიკური სუვერენიტეტი ფაქტობრივად განვითარების ახალი ისტორიული ეტაპია. ამიტომ უნდა მივიღოთ ახალი საკანონმდებლო აქტები. ამ მიზნით, გადაწყდა შეიქმნას 23 სამუშაო ჯგუფი, კერძოდ, განსახილველად უნდა იქნეს გამოტანილი საკუთრების, მიწისა და მიწათსარგებლობის არენდისა და საარენდო ურთიერთობის, ფულის მიმოქცევის, სახალხო განათლების კანონთა პროექტები და სხვა.

რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სხდომაზე პირველი წაკითხვისათვის წარმოადგინეს საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კანონის პროექტი.

(საქინფორმი).

საქართველოს კომუნისტური პარტია

პროექტი

საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია

ჩვენს რესპუბლიკას მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მოპოვებული ეკონომიკის, სოციალური სფეროს, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

ამასთან არ შეიძლება მთელი პრინციპულობით არ ითქვას ისიც, რომ გარდაქმნის შეუქცევადმა პროცესებმა გამოააშკარავა და გააშიშვლა ყველა ის სერიოზული ნაკლი, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში საზოგადოების ბიუროკრატიულ-მბრძანებლური მეთოდებით მართვამ, უძრაობის პერიოდმა დააგროვა.

მძიმე მდგომარეობაა ეკონომიკაში, რომლის ძირფესვიანი გარდაქმნის, უშუალოდ ადამიანთა ინტერესებისადმი დაქვემდებარების გარეშე წინსვლაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელია. ჩვენს სტრატეგიულ მიზანს — ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი პარამეტრების მიხედვით საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებზე გასვლას, რასაც წინა ხუთწლედებში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა, კვლავ საგრძნობლად დაგვაშორა ბოლო წლების ჩამორჩენამ. სრულყოფილად ვერ კმაყოფილდება ხალხის საარსებო მოთხოვნილებები. მოქმედი ეკონომიკური მექანიზმი სათანადოდ ვერ ითვალისწინებს დიდნაყოფიერი და მაღალხარისხოვანი შრომისთვის აუცილებელ სტიმულებს, ადამიანის ფაქტორის მთელ მრავალფეროვნებას. ბევრ სფეროში იგრძნობა სერიოზული ზნეობრივი დეფორმაციები. [illegible] ღირებულებათა [illegible] გამწვავდა ერო[illegible] ურთიერთობა.

გარდაქმნის პერიოდში პარტიის მთელმა საქმიანობამ, დღევანდელმა წინააღმდეგობრივმა, დინამიზმით, ფართო მასების საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი აქტივობით აღსავსე ცხოვრებამ უკუაგდო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების პრობლემებისადმი შაბლონური, დოგმატური მიდგომა. დემოკრატიზაციამ და საჯაროობამ ახალი, სავსებით ბუნებრივი ბიძგი მისცა ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

პარტიის ეროვნული პოლიტიკის პლატფორმის პროექტი, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი განიხილავს, სამართლიანად მიუთითებს, რომ ამ ურთულესი საკითხების გადაწყვეტისას არ შეიძლება გვქონდეს ქვეყნის ყველა რეგიონისა და ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის გამოსადეგი რეცეპტი, რომ ეროვნული პოლიტიკა — ეს არის მუდმივი შემოქმედება, ცხოვრებისეული პროცესების რეალური დიალექტიკის გათვალისწინება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სწორედ ამიტომ თვლის საჭიროდ, რომ აუცილებელია რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას ჰქონდეს ეროვნული განვითარების სფეროში თავისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია, ყოველმხრივ აწონ-დაწონილი კონცეფცია; მას უნდა დაეყრდნოს შემდგომი სამოქმედო პროგრამა, მან უნდა გააერთიანოს საზოგადოების ყველა ფენა ეროვნული წინსვლის რთულ გზაზე.

ეროვნული განვითარების კონცეფციაში განსაკუთრებული, პრიორიტეტული ადგილი ეთმობა ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარება, მისი სრული სუვერენიტეტის მიღწევა, სამართლებრივ სახელმწიფოდ გარდაქმნა, ცხოვრების ყველა სფეროში საჯაროობისა და დემოკრატიზაციის გაღრმავება, ეკონომიკისა და ეკონომიკური ურთიერთობის თვისებრივი გაჯანსაღება, საგარეო-ეკონომიკური კავშირების, სოციალური სფეროსა და სოციალური ურთიერთობის სრულყოფა, დემოგრაფიული და ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღება, სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება, ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფა, ავტონომიური ფორმირებების, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესების გათვალისწინება, დღევანდელ ეტაპზე პარტიული მუშაობის არსებითი გარდაქმნა და ა. შ.

1. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარება

1. 1. ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა თითოეული ცივილიზებული ერის წმიდათაწმიდა უფლება და უზენაესი ზნეობრივი მოვალეობაა. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ მისწრაფებაში პოულობს გამოხატულებას ხალხის ეროვნული ცნობიერება, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობა. ქართველმა ერმა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე კოლოსალური ენერგია, ნიჭი და ძალ-ღონე შეალია თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის თავგანწირულ ბრძოლას. საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც ყოველმხრივ ითვალისწინებს ქართველი ხალხის ისტორიას, მის ხასიათსა და იდეალებს, რესპუბლიკის ეროვნული განვითარების კონცეფციას საფუძვლად უდებს თავისუფლებისაკენ მისწრაფებაში გამოხატულ ერის თვითშეგნებას და თავის უმაღლეს მიზნად და ამოცანად ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვითგამორკვევის უზრუნველყოფა მიაჩნია;

1. 2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სუვერენულობის გამოხატულებაა ის, რომ ხელშეუხებელია მისი ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრები. საქართველოს განუყოფელი ნაწილია მის ტერიტორიაზე შექმნილი ავტონომიური ფორმირებები — აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მოქმედი კონსტიტუციის ფარგლებში საქართველოს სსრ დამოუკიდებლად განაგებს თავის საშინაო საქმეებს. იგი არ დაუშვებს როგორც მთლიანად რესპუბლიკის, ისე მასში შემავალი ავტონომიური ფორმირებების სუვერენული უფლებების ხელყოფას, მათს საშინაო საქმეებში გარეშე ძალის ჩარევას;

1. 3. ეროვნული განვითარების კონცეფცია, რომელიც იცავს მემკვიდრეობითობის პრინციპს და მტკიცედ ემყარება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ჩვენი ხალხის ისტორიულ გამოცდილებას, მოწოდებულია შეავსოს ეროვნულ ისტორიოგრაფიაში არსებული „თეთრი ლაქები", მიუკერძოებლად აღადგინოს სრული ისტორიული სიმართლე, ღირსეული პატივი მიაგოს ხალხის ისტორიულ ხსოვნას. მაგალითად, ყოველწლიურად ფართოდ უნდა აღინიშნებოდეს 1918 წლის 26 მაისი, როგორც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღი, მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე. ობიექტური შეფასება უნდა მიეცეს რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევას, 1918-21 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში, ამავე პერიოდში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასა და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გარემოებებს, რაც სამართლიანად აწუხებს ფართო საზოგადოებრიობას.

სპეციალისტების, საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით, ისტორიზმისა და მეცნიერული ობიექტურობის პრინციპებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ეროვნული სიმბოლიკის საკითხების განხილვა და გადაწყვეტა;

1. 4. კონცეფციის უმთავრესი მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, შესაბამისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების მომწიფების კვალობაზე სამართლებრივი გზით რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მოპოვება. ეს უნდა გამოიხატოს საბჭოთა სუვერენული რესპუბლიკების კავშირში რეალური ფედერალიზმიდან სახელმწიფოებრიობის უფრო მაღალ ფორმებზე ეტაპობრივ გადასვლაში. ეს სავსებით შეესაბამება ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ „... წინასწარ არასგზით არ უნდა ვთქვათ უარი იმაზე, რომ მთელი ამ მუშაობის შედეგად საბჭოების შემდგომ ყრილობაზე უკან დავბრუნდეთ, ე. ი. დავტოვოთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მხოლოდ სამხედრო და დიპლომატიური მხრივ". ასეთია რესპუბლიკის შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული აღმავლობის, საწარმოო ძალთა განვითარების, მოსახლეობის შრომითი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შემოქმედებითი აქტიურობის გაძლიერებისა და მთელი საზოგადოების ზნეობრივი სრულყოფის მაგისტრალური გზა;

1. 5. დასახული მიზნების შესაბამისად უნდა განხორციელდეს პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა მწყობრი სისტემა, რათა თანამედროვე ობიექტური რეალობებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სრული სუვერენული უფლებების უზრუნველყოფის გათვალისწინებით ამ რესპუბლიკებს შორის დაიდოს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება სსრ კავშირში მათი გაერთიანების შესახებ. საკავშირო და რესპუბლიკური ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ურთიერთობის ახალი მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად საქართველოს სსრ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები თანასწორუფლებიანობის საფუძველზე დაამყარებენ ურთიერთობას სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან თავდაცვითი და საგარეო-პოლიტიკური საკითხების, ექსტრემალური ვითარებისათვის მატერიალური, საფინანსო, სადაზღვევო და სხვა მარაგების საერთო-საკავშირო სისტემის შექმნისა და მთელი ქვეყნისათვის სხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში;

1. 6. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მთელი ეროვნული სიმდიდრე — მიწა, წიაღისეული, შიგა და ტერიტორიული წყლები, ზღვის შელფი, ტყე, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საწარმოები, საბინაო ფონდი და სხვა, საკუთრების როგორი ფორმებითაც უნდა იყვნენ ისინი წარმოდგენილი, მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის საკუთრებაა და მხოლოდ და მხოლოდ ისაა მათი განმკარგულებელი;

1. 7. რესპუბლიკის სამართლებრივ სახელმწიფოდ გარდაქმნის მიზნით შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდება საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის, ახალი საარჩევნო კანონისა და სხვა ფუძემდებლური საკანონმდებლო აქტების შემუშავებისათვის. მკვეთრად გაიმიჯნება ერთმანეთისაგან საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციები. ყოველმხრივ იქნება გათვალისწინებული პოზიტიური პროცესები, რომლებიც რესპუბლიკის საშინაო ცხოვრებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარეობს;

1. 8. კონსტიტუციურ-საკანონმდებლო საქმიანობის თვისებრივი გაუმჯობესების პირველივე ეტაპზე გაანალიზდება და რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა გათვალისწინებით გადაწყდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სსრ კავშირის კანონების რესპუბლიკაში მოქმედების წესი, აუცილებლობის შემთხვევაში მათი გაპროტესტებისა და მოქმედების შეჩერების ჩათვლით, იმიგრაციული პროცესების რეგულირება, წვევამდელთა მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მათი სურვილის გათვალისწინებით რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოხდა, ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნა, მიწათსარგებლობის კანონმდებლობის კარდინალური სრულყოფა და სხვა;

1. 9. დემოკრატიზაციის კურსის შესაბამისად კიდევ უფრო გაღრმავდება ხელისუფლების დეცენტრალიზაციისა და დემონოპოლიზაციის პროცესები. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გაძლიერდება ბრძოლა უწყებრივი თუ საწარმოო დიქტატისა და ავტოკრატიის წინააღმდეგ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მართვისა და დაგეგმვის ორგანოების დემოკრატიზაციას, მათი მუშაობისადმი საზოგადოებრიობის რეალური კონტროლის დანესებას;

1. 10. კონცეფციის ფარგლებში გადაწყდება საქართველოს სსრ მოქალაქეობის სტატუსის განსაზღვრისა და რეალური განხორციელების საკითხი, რაც სრულად გაითვალისწინებს აგრეთვე რესპუბლიკაში ტრადიციულად მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესებს. მოქალაქეობის სტატუსის შემოღება გახდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგმება რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის

(გაგრძელება მე-2 გვ.).

საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია

(გაგრძელება)

მიღწევის, დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების, მკვიდრი მოსახლეობის ენის, ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების პატივისცემის, მკვიდრი და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანთა ინტერესების უფრო მეტად შეხამებისა და შეწონასწორების გზაზე;

1. 11. შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდება რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაფართოებისათვის როგორც სახელმწიფოებრივი ურთიერთობების დონეზე, ისე ცალკეული საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო თუ სხვა დაწესებულებების, საზოგადოებრივ-კულტურული ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების კონტაქტების განვითარების თვალსაზრისითაც. ამასთან გადაიდგმება პრაქტიკული ნაბიჯები საქართველოსთან ისტორიულად მჭიდრო კავშირის მქონე საზღვარგარეთის ქვეყნებში, უცხოეთის ქართულ დიასპორებში საქართველოს სსრ წარმომადგენლობების შექმნისათვის, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სუვერენიტეტის მოპოვების კვალობაზე კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად რესპუბლიკის მიღებისათვის.

2. ეკონომიკა;

ეკონომიკური ურთიერთობა

2. 1. საქართველოს სსრ, როგორც სუვერენული სახელმწიფო, ეკონომიკურად დამოუკიდებელი რესპუბლიკა უნდა გახდეს. მისი დამოუკიდებლობის საფუძველთა საფუძველი იქნება მთელი ეროვნული დოვლათის ეროვნულ საკუთრებად გამოცხადება. ამასთან მიზანშეწონილადაა მიჩნეული რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვადასხვა საკავშირო უწყების საკუთრებაში არსებული სახალხო-სამეურნეო, ჯანდაცვის, ტურიზმის, საკურორტო თუ სხვა ობიექტების საქართველოს გამგებლობაში გადაცემა და მათი რესპუბლიკის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად გამოყენება. ყოველივე ეს შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ საქართველოს სსრ იყოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებული მეურნეობის ერთადერთი ბატონ-პატრონი და განმგებელი, დამოუკიდებლად იმუშავებდეს და ახორციელებდეს თავისი ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული განვითარების პოლიტიკას, თვითონვე უძღვებოდეს მთელ მეურნეობას, წყვეტდეს საკავშირო ორგანოების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს;

2. 2. კონცეფციის შესაბამისად რესპუბლიკაში თანასწორუფლებიანობის პირობებში განვითარდება საკუთრების ყველა ფორმა: საქართველოს სსრ სახელმწიფო საკუთრება, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრება, პირადი და კერძო საკუთრება, შერეული საკუთრება. უზრუნველყოფილ იქნება მეწარმეობის თავისუფლება. შეიქმნება მეურნეობის თვითდაფინანსების, თვითკონტროლისა და თვითმმართველობის პირობები. საკუთრების ნებისმიერი ფორმა უნდა გამორიცხავდეს სხვისი შრომის ექსპლუატაციას და, მაშასადამე, სხვისი შრომის ნაყოფის მითვისებას, ხელს უწყობდეს მთელი საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური, ინტელექტუალური და ზნეობრივი პოტენციალის გაზრდას, პიროვნების ყოველმხრივ და თავისუფალ განვითარებას. საკუთრების უკლებლივ ყველა ფორმას ერთნაირად დაიცავს სახელმწიფო. საკუთრებითი ურთიერთობის რეგულირება მოხდება საქართველოს სსრ შესაბამისი კანონმდებლობისა და ხელშეკრულებების საფუძველზე;

2. 3. საქართველოს სსრ საბჭოთა კავშირის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში საკავშირო ორგანოებთან და მოკავშირე რესპუბლიკებთან დადებულ სამეურნეო ხელშეკრულებათა ეკონომიკური ხელსაყრელობის საფუძველზე მიიღებს მონაწილეობას. საკავშირო ორგანოებთან და მოკავშირე რესპუბლიკებთან ურთიერთობა დაეფუძნება რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთხელსაყრელობის პრინციპებს. საქართველოს სსრ საწარმოები და ორგანიზაციები ეკვივალენტური გაცვლის წესით დაამყარებენ ურთიერთობას მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის პარტნიორებთან; ამასთან, კონტროლი უნდა დაწესდეს იმას, რომ რესპუბლიკიდან არ გადიოდეს ისეთი პროდუქცია, ან ისეთი მოცულობით, რომელიც ამ ნაწარმის დეფიციტს გამოიწვევს;

რესპუბლიკის ეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პირობა იქნება ერთიან საკავშირო ბაზარში მონაწილეობა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან პირდაპირი კავშირების დამყარება ერთობლივი საწარმოების მშენებლობის, ვაჭრობისა და ტურიზმის, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის ყოველმხრივი გაფართოების გზით;

2. 4. რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მატერიალური წანამძღვარია სახალხო მეურნეობის ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, წარმოების ეფექტიანობის არსებითი ზრდა მეურნეობრიობის ყველა დონეზე, საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალის განუხრელი მატება. ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა გაითვალისწინებს არა მარტო საქართველოს სსრ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს, არამედ აგრეთვე ისტორიულ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებსაც, მოსახლეობის მოთხოვნილებების სპეციფიკას, ეროვნულ ტრადიციებსა და ხასიათს. ამან არსებითი სტიმული უნდა მისცეს შრომის ნაყოფიერების ზრდას, ისეთი მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო ბაზარზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მსოფლიო სამეურნეო ბრუნვაში საქართველოს აქტიურ ჩაბმას;

2. 5. კონცეფცია ემყარება იმის ღრმა რწმენას, რომ რესპუბლიკის ბუნებრივი, შრომითი, საწარმოო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, მათი ეფექტიანად გამოყენებისა და თანდათანობით გამრავლების შემთხვევაში, სათანადო პირობებს შეუქმნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და სოციალურ-კულტურული განვითარების სფეროში დასახული ამოცანების გადაწყვეტას. ამიტომ მატერიალური წარმოების სფეროს უმთავრესი დანიშნულება ის უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს რესპუბლიკის მოსახლეობა სასურსათო პროდუქტებით მოხმარების ფიზიოლოგიური, ხოლო არასასურსათო საქონლით მოხმარების მიხედვით — მეცნიერულად დასაბუთებული რაციონალური ნორმების დონეზე. ამასთან წარმოების განვითარებამ უნდა შექმნას საკავშირო ორგანოებთან, მოკავშირე რესპუბლიკებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკურად ხელსაყრელი აღებ-მიცემობისა და სხვა ხასიათის სამეურნეო-სავაჭრო ურთიერთობის მატერიალური საფუძველი;

2. 6. ღრმად უნდა შევისწავლოთ რესპუბლიკის ბუნებრივი, საწარმოო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, მეცნიერულად გავაანალიზოთ ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, საწარმოო ძალების ტერიტორიული განლაგების, რესპუბლიკათშორისი და საგარეო-ეკონომიკური კავშირების ეფექტიანობა და განვითარების პერსპექტივები. მატერიალური წარმოების შემდგომი გაფართოება იმ დარგების უპირატესი ზრდის საფუძველზე უნდა მოხდეს, რომელთა განვითარებისათვისაც რესპუბლიკაში არსებობს ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები. ესენია სოფლის მეურნეობა და მისი ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობა, ელექტროენერგეტიკა, ელექტრონიკა და გამოთვლითი ტექნიკა, ხელსაწყოთმშენებლობა და მანქანათმშენებლობის არამასალატევადი დარგები, რომლებიც კვალიფიციურ მუშახელს მოითხოვენ, საშენ მასალათა მრეწველობა და სხვა. პრიორიტეტულად უნდა განვითარდეს აგრეთვე არაწარმოებითი სფერო, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის დარგები;

2. 7. უნდა აღიკვეთოს სამეურნეო-საწარმოო სფეროში სამინისტროებისა და უწყებების დიქტატი. საწარმოები და ორგანიზაციები დამოუკიდებლად, მეურნეობრიობის ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან და სარგებლიანობიდან გამომდინარე უნდა წარმართავდნენ თავიანთ საქმიანობას. პრიორიტეტული გახდება საწარმოო და მოსახლეობის პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ინტერესები. არავის ექნება უფლება მათ საქმიანობაზე გაუმართლებელი, არაეკონომიკური მეთოდებით მოახდინოს ზემოქმედება. თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირების ზოგიერთი უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგის თავიდან ასაცილებლად შემოღებულ იქნება კანონმდებლობით განმტკიცებული სათანადო გარანტიები.

შემუშავდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემა, რომლითაც გაუქმდება დარგებისა და საწარმოების საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების პრაქტიკა, აგრეთვე სამეურნეო მართვის შუალედური რგოლები. თავდაცვითი მრეწველობის საწარმოების მართვის უფლება ხელშეკრულების საფუძველზე სსრ კავშირის მთავრობის კომპეტენციაში დარჩება. ამასთან, ამ დარგის საწარმოები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საგნების გამოშვებაში. ამ მიზნით გამოყენებულ იქნება საწარმოო სიმძლავრეების ნაწილი, პროფილი შეეცვლება ზოგიერთ საწარმოს ან შეიქმნება სპეციალიზებული წარმოებები.

2. 8. სოფლად მთელი ეკონომიკური პოლიტიკა მაქსიმალურად დაეფუძნება იმ დებულებას, რომ მიწა მუდმივ სარგებლობაში მემკვიდრეობის უფლებით რეალურად უნდა გადაეცეს გლეხობას, იმას, ვინც მას ამუშავებს. ფართოდ განვითარდება მსხვილი აგროსამრეწველო საწარმოები, აგროფირმები და აგროკომბინატები. მთის ზონაში და მიტოვებულ სოფლებში დაჩქარებით შეიქმნება გლეხური მეურნეობები და მათი გაერთიანებანი: ამასთან „კონკრეტული პირობების მიხედვით მეურნეობის გაძღოლის ყველაზე ეფექტიან ფორმებს თვითონ მწარმოებლები აირჩევენ. ბოლო მოეღება ზემოდან დიქტატს, მართვის რომელი რგოლიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი. გამოინახება და დაინერგება მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით მწარმოებელთა სტიმულირების ეფექტიანი საშუალებები. ამასთან რესპუბლიკაში მიწის ფონდის უკიდურესი სიმცირის, მძიმე დემოგრაფიული ვითარების, მიწათსარგებლობის წესების უხეში დარღვევებისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გათვალისწინებით აუცილებელია არსებითად დაიხვეწოს საქართველოს სსრ მიწის კანონმდებლობა;

2. 9. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული საწარმოო ძალების ფორმირების უზრუნველსაყოფად რესპუბლიკა განახორციელებს ერთიან სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკას, თვითონვე განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევის პერსპექტიულ და პრიორიტეტულ მიმართულებებს, ჩამოაყალიბებს სახალხო მეურნეობაში ტექნიკურ სიახლეთა და გამოგონებათა დანერგვისა და ლიცენზიების საზღვარგარეთ გაყიდვის ეროვნულ სისტემას. გარდა ამისა, რესპუბლიკის სავალუტო ანარიცხების, უცხოური კაპიტალისა და სხვა წყაროების საფუძველზე შეიქმნება რესპუბლიკური ინოვაციური ფონდი;

2. 10. თანმიმდევრულად განხორციელდება ეკონომიკის სფეროში ეროვნული სტრუქტურული პოლიტიკა. ამან უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის ეკონომიკაში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად წარმოშობილი დეფორმაციებისა და დისპროპორციების აღმოფხვრა. კერძოდ, სახალხო მეურნეობის ინდუსტრიული დონის ამაღლების, საწარმოთა რაციონალური განლაგების, კონვერსიისა და პროფილის შეცვლის, აგროსამრეწველო კომპლექსის რაციონალური სპეციალიზაცია-განვითარებისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელების შედეგად არსებითად გაიზრდება დაგროვების ეფექტიანობა;

2. 11. შემუშავდება და გატარდება მოქნილი საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული შემოსავლის მოხმარებისა და დაგროვების ფონდების პროპორციების ოპტიმიზაციის გზით კაპიტალდაბანდებათა მიმართულებებისა და მოცულობების სწორ განსაზღვრას ისე, რომ ყოველმხრივ იქნება გათვალისწინებული ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური ამოცანები. რესპუბლიკის სრული კომპეტენცია გახდება მთელი სამშენებლო-საინვესტიციო საქმიანობის დაგეგმვა და გაძღოლა. ადგილზევე დამტკიცდება შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაცია. აქვე გაკეთდება საექსპერტო შეფასებები, საჭიროების შემთხვევაში დაწესდება საინვესტიციო გადასახდელები;

2. 12. რესპუბლიკის ეკონომიკური თავისთავადობის გათვალისწინებით შეიქმნება საქართველოს სსრ დამოუკიდებელი ერთიანი საბიუჯეტო, საგადასახადო, საბანკო-საკრედიტო სისტემები. ერთმანეთზე არ იქნება დამოკიდებული რესპუბლიკური, ავტონომიური ფორმირებებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ბიუჯეტები.

მოქმედი წესისაგან განსხვავებით რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ბიუჯეტის ყველა შემოსავალი, რომელთა ნაწილი ამჟამად საკავშირო ბიუჯეტში შედის, საქართველოს სსრ რესპუბლიკურ, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება. ამასთან სსრ კავშირის თავდაცვის, საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების, რესპუბლიკათშორისი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებისა და სხვა ანალოგიურ საკავშირო საჭიროებათა დასაფინანსებლად რესპუბლიკა ურთიერთშეთანხმებული ნორმატივის საფუძველზე სათანადო სახსრებს შეიტანს საკავშირო ბიუჯეტში;

საქართველოს სსრ კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელდება საგადასახადო დაბეგვრა. სახალხო დეპუტატთა საბჭოებს უფლება ექნებათ დააწესონ სხვადასხვაგვარი ადგილობრივი გადასახდელები. რესპუბლიკის კომპეტენცია იქნება საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ფულის ერთეულის შემოღების საკითხი;

2. 13. საქართველოს სსრ მთავრობის უფლებამოსილებაში შევა ფასწარმოქმნის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ამან უნდა უზრუნველყოს ფასწარმოქმნაში ამჟამად არსებული ხარჯვითი მექანიზმის სრული ლიკვიდაცია, ფასების (ტარიფების) მიახლოება საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებთან, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის სწორი თანაფარდობის დამყარება, მსოფლიო ბაზარზე ფასების დონისა და დინამიკის გათვალისწინება;

2. 14. კონცეფციის შემადგენელი ნაწილია ეროვნული რეგიონალური პოლიტიკა, რომელმაც თვითმმართველობის, სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპების საფუძველზე უნდა უზრუნველყოს ავტონომიური ფორმირებების, ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შეწონასწორებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება თითოეული რეგიონის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების, ისტორიული ტრადიციებისა და მეურნეობის სპეციალიზაციის, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები მკვიდრი და სხვა ეროვნების ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით. მეურნეობის განვითარების, მოსახლეობის სოციალური გარანტიების შეღავათიანი რეჟიმი დაწესდება რესპუბლიკის მთიანი, აგრეთვე დემოგრაფიულად და ეკოლოგიურად განსაკუთრებით დაზიანებული ზონებისათვის;

2. 15. კონცეფცია ეკონომიკის ახალ თვისებრივ საფეხურზე აყვანაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსახლეობის შრომითი კულტურის, მათი კვალიფიკაციის, კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის არსებითს ამაღლებას, მეურნეობის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონისა და განმგებლის გრძნობის ჩამოყალიბებას. თანამედროვე ეკონომიკა ვერ იარსებებს თავის საქმეზე შეყვარებული მაღალკვალიფიციური და კარგად ორგანიზებული მუშათა კლასის, გლეხობის, სპეციალისტების, მეცნიერების გარეშე. ამ მოთხოვნებისაკენ მკვეთრად უნდა შემობრუნდეს მუშაკთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, მშრომელთა მატერიალური და მორალური სტიმულირების მთელი სისტემა.

3. სოციალური სფერო;

სოციალური ურთიერთობა

3. 1. არასახარბიელო ვითარებაა სოციალურ სფეროში, დაძაბულია სოციალური ურთიერთობანი, ქვეითდება ცხოვრების დონე, ღრმავდება სოციალური უთანასწორობა, ვერ ხერხდება ინფლაციური პროცესების, სახალხო მოხმარების საქონლის დეფიციტის აღმოფხვრა, მწვავედ დგას მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით, სხვადასხვაგვარი ფასიანი მომსახურებით და, რაც მთავარია, ბინით უზრუნველყოფის ამოცანა. სისტემატურად მზარდ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და ინფრასტრუქტურის სხვა დარგების განვითარების დონე. იზრდება სამართალდარღვევები; ჯერ კიდევ სუსტია საზოგადოების ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია, აუმოქმედებელია ეროვნული ენერგია, ცუდად გამოიყენება ხალხის ინტელექტუალური შესაძლებლობები, ადამიანის ფაქტორი. არ დამთავრებულა ეროვნულ ინტერესებთან შეუთავსებელი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დემონტაჟი. ვერ გამოიძებნა ქმედითი სოციალურ-ეკონომიკური მოტივაციური მექანიზმი;

3. 2. კონცეფციის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ამ რთული და საშიში ნეგატიური ტენდენციების დაძლევას. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, ყველა მისი დარგი მკვეთრად უნდა შემობრუნდეს სოციალური ამოცანების გადაწყვეტისაკენ, უნდა შეიქმნას მკვიდრი მოსახლეობის არსებობისათვის საიმედო ეკონომიკური გარანტიები, ამასთან არ უნდა შეილახოს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხების ინტერესები. უფრო აქტიურად უნდა გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მატერიალური წანამძღვრები; აუცილებელია უზრუნველვყოთ სოციალურ გარანტიებსა და ეკონომიკურ სტიმულებს, სახელმწიფოს წინაშე — პიროვნებისა და პიროვნების წინაშე — სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ოპტიმალური თანაფარდობა.

უკეთ უნდა იყოს შეთანხმებული საზოგადოების, კოლექტივისა და პიროვნების სოციალური ინტერესები, მეტად უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ძირითადი სოციალური ჯგუფების ინტერესები. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა სფეროში განუხრელად უნდა დავიცვათ სოციალური სამართლიანობის პრინციპი;

3. 3. კონცეფცია მიზნად ისახავს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების ისეთი ურთიერთობის მიღწევას, რომელიც, განურჩევლად ეროვნული კუთვნილებისა და მსოფლმხედველობრივი მრწამსისა, კონსტიტუციური და საკანონმდებლო აქტებით შექმნის საქართველოს სსრ თითოეული მოქალაქის ფაქტობრივი თანასწორობის, სოციალური დაცულობის, პიროვნებისა და მისი საკუთრების ხელშეუხებლობის, სხვა დემოკრატიული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის მტკიცე გარანტიებს. ფართო საზოგადოებრიობის მიერ წინასწარი განხილვის გარეშე არ იქნება მიღებული არც ერთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც სოციალურ ურთიერთობას შეეხება. ამასთან მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია და ამ საკითხებზე მიღებული სხვა საერთაშორისო დოკუმენტები.

სოციალური საკითხების, ისევე როგორც სხვა მომწიფებული საზოგადოებრივი პრობლემების, გადაწყვეტისას დაუშვებელია ძალის გამოყენება, მუქარა და დაპირისპირება. ყოველგვარი სადავო საკითხის მოგვარების ერთადერთ მისაღებ გზად მიჩნეულია კონსტიტუციური, პოლიტიკური ფორმები, აზრთა საჯარო გაზიარება, კეთილგანწყობილი, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე დიალოგი. საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისა და საჯაროობის შეუქცევადობის გარანტიაა თითოეულ შრომითს კოლექტივში, თითოეულ სამუშაო ადგილზე, მთლიანად რესპუბლიკაში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება, კანონისა და კანონიერების პატივისცემა, მოსახლეობის მიერ მაღალი სამართლებრივი კულტურის დაუფლება;

3. 4. სოციალური სამართლიანობის დაცვის თვალსაზრისით უარი უნდა ვთქვათ კადრების ნომენკლატურულ და არანომენკლატურულ მუშაკებად დაჯგუფების პრაქტიკაზე. მათი შერჩევისა და დაწინაურების ერთადერთ კრიტერიუმად უნდა ვაღიაროთ პროფესიული კომპეტენტურობა, პირადი, საქმიანი თვისებები, მოქალაქეობრივი პოზიცია, ზნეობრივი სიწმინდე; სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით გადავწყვიტოთ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, შემოქმედებითი და სხვა სფეროს მუშაკთა ერთი ნაწილისათვის არსებული პრივილეგიების მართებულობის საკითხი;

3. 5. ეკონომიკური განვითარების სოციალური კრიტერიუმების პრიორიტეტულობის უზრუნველსაყოფად გადაწყდება ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, როგორიცაა სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპისა და პროპორციების სოციალურად გამართლებული ვარიანტების შემუშავება და განხორციელება, სოციალური პროგრამების სრული რესურსული უზრუნველყოფა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების სოციალური ორიენტაციის გაძლიერება, სამეურნეო მექანიზმის სტრუქტურის დემოკრატიზაცია. მასში ეროვნული და პიროვნული ინტერესების უფრო ფართოდ გათვალისწინება. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ერთიანობა ეკონომიკური ზრდისადმი ცალმხრივი, ტექნოკრატიული მიდგომის დაძლევა;

3. 6. კონცეფცია უმნიშვნელოვანეს ამოცანად სახავს შრომის მოტივაციის მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებას, ისეთი მოტივაციური მექანიზმისა და შრომითი მორალის შექმნას, რომელიც საშუალებას მოგვცემს სრულად ავამოქმედოთ ეროვნული ენერგია და იგი უწინარესად ეროვნული სოციალური პრობლემების გადასაჭრელად წარვმართოთ. ამან უნდა უზრუნველყოს შრომის ავტორიტეტის, მისი მასტიმულირებელი ფუნქციის ამაღლება და გამთანაბრებლობის დაძლევა, შრომის შინაარსის ღრმა თვისებრივი გარდაქმნა, შრომითი საქმიანობის უკანონო სფეროებისა და შემოსავლის განაწილების ასევე უკანონო არხების აღკვეთა;

3. 7. ფუძემდებლური მნიშვნელობა მიენიჭება სოციალური გარანტიების მაღალეფექტიანი სისტემის შექმნასა და განვითარებას. რესპუბლიკის ყველა ავტონომიურ ფორმირებასა და რეგიონში ჩამოყალიბდება და შესაბამისი ნორმატიული აქტებით განისაზღვრება მოსახლეობის მატერიალურ, სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საბაზო დონე. ეს საქართველოს სსრ თითოეულ მოქალაქეს შეუქმნის ისეთი შემოსავლის მიღების გარანტიას, რომელიც არ იქნება საარსებო მინიმუმზე ნაკლები.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ოჯახის, დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის, ბავშვებისა და ოჯახის სხვა არაშრომისუნარიან წევრთა სამართლებრივი უფლებების დაცვას. არსებითად გაუმჯობესდება მოხუცების, პენსიონერების, მრავალშვილიანების, მარტოხელების, ინვალიდებისა და ობოლ ბავშვთა სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფის მდგომარეობა.

სახელმწიფო შეზღუდვებისა და შეღავათების სისტემა ხელს შეუწყობს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას. ამ მიზნით აქტიურად განხორციელდება საქონლის ხარისხის უზრუნველყოფისა და მისი კონტროლის, ცხოვრების გაძვირების კომპენსაციის, პირველი მოთხოვნის საგნებზე ზღვრული ფასების დაწესებისა და სხვა ღონისძიებები.

შრომითი კოლექტივების, მათი თითოეული წევრის მატერიალური და სოციალური ინტერესების, სხვა უფლებების დასაცავად თავიანთ მზარდ უფლებამოსილებას აქტიურად გამოიყენებენ პროფკავშირები და მშრომელთა სხვა გაერთიანებები;

3. 8. მიზანშეწონილადაა მიჩნეული რესპუბლიკაში შრომის ანაზღაურების მაქსიმალური და მინიმალური ზღვრების დირექტიული წესით დაწესება. ამასთან ხელისუფლებამ ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით უნდა უზრუნველყოს ისეთი საწარმოო-ეკონომიკური და სოციალური პირობების შექმნა, რომ შრომის მინიმალური ანაზღაურება შეესაბამებოდეს სულ ცოტა საარსებო მინიმუმით გათვალისწინებულ დონეს;

3. 9. ერის სულიერი პოტენციალის ამაღლება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მის ფიზიკურ სიჯანსაღეზე. ჯანმრთელობის დაცვის თვისებრივ გარდაქმნასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოსახლეობის, უწინარესად, ახალგაზრდობის ფიზიკურ წრთობას, მასობრივი-ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებას, ქართული სპორტის მსოფლიოში აღიარებული ტრადიციების კიდევ უფრო გამრავლებას. ამ მიზნით თითოეულ ქალაქსა და უბანში, რაიონში, სოფელში, თითოეულ სკოლაში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელში შეიქმნება სპორტული მოედნები და ბაზები. მომავალში მსოფლიო ოლიმპიურ ასპარეზობაზე რესპუბლიკის სპორტსმენები უნდა წარმოადგენდნენ როგორც სსრ კავშირს, ასევე უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკასაც. ამისათვის საკავშირო და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტებთან ერთად შემუშავდება მსოფლიოს სპორტულ ფედერაციებსა და საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში რესპუბლიკის ავტონომიური მონაწილეობის კონკრეტული ფორმები;

3. 10. სოციალურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის შეიქმნება ძლიერი საფინანსო ბაზა. საქართველოს სსრ სოციალური პოლიტიკის დაფინანსების წყარო იქნება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები, აგრეთვე საზოგადოებრივი მოხმარების ფონდები. იმავე მიზნით აქტიურად მოიზიდება წარმოება-დაწესებულებებისა და მოსახლეობის სახსრები. საწარმოების მიერ სოციალურ-კულტურული განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები დაიბეგრება შეღავათიან საწყისებზე ან საერთოდ განთავისუფლდება ანარიცხებისაგან. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შესაბამისი სოციალური ნორმატივების საბაზო დონე უზრუნველყოფილი იქნება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების მეშვეობით, აგრეთვე იმ სახსრების მოზიდვით, რომლებსაც რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების კონსოლიდირებულ საზოგადოებრივ ბიუჯეტებში წარმოება-დაწესებულებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ფონდები და ცალკეული მოქალაქეები გადარიცხავენ და შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულებით გამოიყენებენ.

4. დემოგრაფიული და

ეკოლოგიური ვითარება

4. 1. კონცეფციის წარმატებით რეალიზაციისათვის უაღრესად დიდი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს აქტიური ეროვნული სახელმწიფოებრივი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და გეგმაზომიერ განხორციელებას. დაუშვებელია ამ საქმეში დაყოვნება, ზოზინი და თვითდამშვიდება; აუცილებელია პრაქტიკული მოქმედება, სიტყვიდან საქმეზე გადასვლა.

სამი ათწლეულის მანძილზე რესპუბლიკაში განახევრდა მოსახლეობის ბუნებრივი მატება, რაც განაპირობა შობადობის შემცირებამ და სიკვდილიანობის ზრდამ. საგანგაშოა ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის დონე, მაღალია დაუქორწინებელი ადამიანების ხვედრითი წილი და უშვილობის მაჩვენებელი. თავი იჩინა ნეგატიურმა მიგრაციულმა პროცესებმა. ბერდება და ცარიელდება მრავალი სოფელი. უკაცრიელდება რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ხევი, ხევსურეთი, სხვა მაღალმთიანი რეგიონები. მოსახლეობის დეპოპულაცია მიმდინარეობს ბევრ რაიონში. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, ზოგიერთ სხვა რეგიონში ეროვნულ უმცირესობად იქცა მკვიდრი მოსახლეობა. მძიმე მდგომარეობაა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც მკვიდრ ეროვნებაზე მთელი მოსახლეობის მხოლოდ 60 პროცენტი მოდის, მათ შორის აფხაზებზე — 18 პროცენტზე ნაკლები;

4. 2. ეროვნული დემოგრაფიული პოლიტიკა საფუძვლად უნდა დაედოს რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის გამრავლების გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას. ამ პროგრამის ძირითადი მიმართულებები უნდა იყოს რესპუბლიკის მკვიდრი ეროვნების მოსახლეობის გამრავლების დაჩქარება და მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მათი ხვედრითი წილის ზრდა, დიფერენცირებული შიგარესპუბლიკური (რეგიონული, რაიონული) დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება. ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ყოველმხრივ უნდა ითვალისწინებდეს მცირე შობადობისა და დეპოპულაციის მქონე რაიონებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობების მაქსიმალურ გაუმჯობესებას; რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მკვიდრი მოსახლეობის განსახლების არსებითს სრულყოფას;

დემოგრაფიული პოლიტიკის სახელმწიფოებრივ დონეზე თანამიმდევრული და გეგმაზომიერი განხორციელებისათვის რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიულ სახელმწიფო გეგმებში ცალკე უნდა გამოიყოს ქვეგანაყოფი — „ხალხთმოსახლეობა“;

4. 3. ეროვნული დემოგრაფიული პოლიტიკის კურსის თანმიმდევრული რეალიზაციისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ შესაბამისი ეკონომიკური, ადმინისტრაციულ-იურიდიული და სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებები. საჭიროა განისაზღვროს სახელმწიფო ბიუჯეტში დემოგრაფიული ინვესტიციისათვის აუცილებელი სახსრები, დაწესდეს სათანადო იურიდიული ნორმატივები. ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ და აქტიურად შევუწყოთ ხელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ცალკეული ადამიანების ნებისმიერ საქმიან ინიციატივას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ფართო საგანმანათლებლო, პროპაგანდისტული და ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა გასწიონ დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისათვის, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ახალგაზრდობაში მრავალშვილიანობის მოთხოვნილების ჩამოყალიბებას, მრავალშვილიანი ოჯახების საზოგადოებრივი პრესტიჟის ამაღლებას, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საზოგადოებრივი ქველმოქმედების განვითარებას;

4. 4. რესპუბლიკაში დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებამ ხელსაყრელი პირობები უნდა შექმნას ისეთი გადაუდებელი და საარსებოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, როგორიცაა:

— შობადობის გაზრდა საერთოდ და უმთავრესად საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულ ქალთა შორის იმის გათვალისწინებით, რომ მკვიდრი ეროვნების ადამიანთა ოჯახები საშუალოდ სამშვილიანები გახდნენ, მატერიალური დახმარება მაქსიმალური ოდენობით კი მოსახლეობას მხოლოდ მესამე და მეოთხე ბავშვის დაბადებისას გაეწიოს;

— ახალგაზრდა მცირეშემოსავლიანი ოჯახებისა და მარტოხელა დედებისათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარების დაწესება ადგილობრივი საბჭოების, წარმოება-დაწესებულებების, ეროვნული დემოგრაფიული ფონდისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხარჯზე;

— აუცილებელი პირობების შექმნა იმისათვის, რათა დედობრივ და საოჯახო ფუნქციებთან რაციონალურად იყოს შეთანაწყობილი საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა დასაქმება. ამ მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქალთა სრული გამოთავისუფლება მავნე და მძიმე სამუშაოებიდან, აგრეთვე ღამის ცვლიდან; გარდა ამისა, ფართოდ დაინერგება შეღავათიანი სამუშაო რეჟიმი და განხორციელდება სხვა ღონისძიებები;

— საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის მნიშვნელოვანი განვითარება და რაციონალიზაცია, მისი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა თანამედროვე საოჯახო-საყოფაცხოვრებო ტექნიკით;

— სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება იმ თვალსაზრისით, რომ სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება ამ დანიშნულების ობიექტებზე;

— მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური მატერიალური წახალისება უშუალოდ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხელფასზე დანამატების, მაქსიმალური თანამდებობრივი სარგოების დაწესებისა და სხვა სახით;

— ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და განხორციელება ახალგაზრდა ოჯახების განსამტკიცებლად, მათ შორის შეღავათების დაწესება სახელმწიფო ბინების განაწილებისას, აგრეთვე შეღავათიანი სახელმწიფო სესხების შემოღება მათთვის კოოპერაციული და ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის. იგივე სისტემა უნდა მოიცავდეს ქორწინების სტიმულირების ღონისძიებებს;

— პედაგოგიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გააქტიურება საოჯახო-ყოფითი კულტურის ასამაღლებლად;

— ქმედითი სამედიცინო-სანიტარიული, პროფილაქტიკური და სხვა ხასიათის ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მოსახლეობის, განსაკუთრებით ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მკვეთრად შესამცირებლად, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გასადიდებლად, იმ მავნე სოციალური და დემოგრაფიული შედეგებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებსაც მძიმე დაავადებები, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ავტოავარიები, ადამიანთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის სიცოცხლის ხელყოფის გახშირებული შემთხვევები იწვევს;

4. 5. მიგრაციული პროცესების რეგულირების მიზნით აუცილებელია:

— საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების კარდინალური გაუმჯობესება იმის გათვალისწინებით, რომ როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ისე ავტონომიურ ფორმირებებში, წარმოების გაფართოება ორიენტირებული იყოს მხოლოდ ადგილობრივი შრომითი რესურსების გამოყენებასა და სრულ დასაქმებაზე, აგრეთვე მეურნეობრიობის ახალ პირობებში სამუშაო ძალის მოსალოდნელ ინტენსიურ გამოთავისუფლებაზე;

— მცირემიწიანობისა და ადგილობრივი შრომითი რესურსების საკმარისობის გამო მუშახელზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით რესპუბლიკის გარედან სამუშაო ძალის შემოყვანის არსებითად შეზღუდვა და ფაქტობრივად შეწყვეტა;

— მიგრაციული პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით მცირე და საშუალო ქალაქებში, მსხვილ სასოფლო დასახლებებში რენტაბელური, ეკოლოგიურად სუფთა სამრეწველო საწარმოების (სახელმწიფო, კოოპერაციული, ინდივიდუალური, შერეული), აგრეთვე მომსახურების ობიექტების შექმნა, რაც გარკვეულად შეანელებს მოსახლეობის ლტოლვას როგორც დიდი სამრეწველო ცენტრებისაკენ, ისე რესპუბლიკის გარეთ. ამავე მიზნით დიდ ქალაქებში გამოყენებული იქნება ეკონომიკური და ადმინისტრაციული ზემოქმედების სანქციები. მოსახლეობის ქალაქიდან სოფლად მიგრაციის ხელის შეწყობის მიზნით დაინერგება მატერიალური და სოციალური დაინტერესების ფართო სისტემა;

— ძველი ნასოფლარ-ნასახლარებისა და მცირედ დასახლებული სოფლების აღდგენა-გამსხვილება და ახალი სოფლების შექმნა. ამ მიზნით განხორციელდება ჭარბად დასახლებული და მცირემიწიანი რაიონებიდან მოსახლეობის ორგანიზებული გადმოსახლების ღონისძიებანი;

— გლეხური მეურნეობების დაჩქარებული განვითარება, რაც ხელს შეუწყობს სოფლად მოსახლეობის დამკვიდრებასა და გამრავლებას, განსაკუთრებით მთიანი ზონის სოფლებში;

4. 6. როგორც საერთო ეროვნული, ისე რეგიონალური დიფერენცირებული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისა და პრაქტიკული განხორციელებისას მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ავტონომიური ფორმირებებისა და სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის, პირველ რიგში კი მკვიდრი ეროვნების ინტერესები;

4. 7. ეფექტიან დემოგრაფიულ პოლიტიკას საფუძვლად დაედება რესპუბლიკაში დემოგრაფიული მეცნიერების დაჩქარებული განვითარება და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გაფართოება, დემოგრაფ-სპეციალისტთა გეგმაზომიერი მომზადება და გადამზადება როგორც რესპუბლიკის, ასევე მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის მოწინავე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში;

4. 8. ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და გადაუდებელი პრობლემაა რესპუბლიკის ქალაქებსა და სასოფლო რეგიონებში შექმნილი ეკოლოგიური ვითარების არსებითი გაჯანსაღება, ბუნების დაცვის კარდინალურ ღონისძიებათა განხორციელება. ეფექტიანი ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციამ უნდა უზრუნველყოს რაციონალური ბუნებათსარგებლობა, მთელი საზოგადოების ეკოლოგიური აზროვნების ამაღლება. საწარმოო-ეკონომიკურმა საქმიანობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ადამიანთა ჯანმრთელობას. მომავალ საქართველოს, ჩვენს შემდგომ თაობებს უნდა შევუნარჩუნოთ უნიკალური ფლორა და ფაუნა, შავი ზღვის ლაჟვარდოვანი სანაპირო, მარჩენალი მიწა, მაცოცხლებელი წყალი და ჰაერი. ამ მიზნით შემუშავდება და განხორციელდება საქართველოს სსრ მიწის ფონდის დაცვისა და გამოყენების, აგრეთვე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამა;

4. 9. ფართო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მხარდაჭერა უნდა აღმოვუჩინოთ ეკოლოგიური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ყველა ინიციატივას. აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ბუნების დაცვის სფეროში საბჭოთა კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები, გავამკაცროთ მოთხოვნები ნორმატიული პარამეტრების დაწესებისა და დაცვისადმი. ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევებისათვის გავაძლიეროთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, შემოვიღოთ და აქტიურად გამოვიყენოთ ეკოლოგიური ვეტოს უფლება მაშინ, როცა ამა თუ იმ სამეურნეო-ტექნიკური გადაწყვეტილების განხორციელება ზიანს აყენებს ბუნებასა და ადამიანის ჯანმრთელობას; აქტიურად უნდა ვეძიოთ განსახორციელებელი პროექტების მისაღები ალტერნატიული ვარიანტები;

4. 10. მეთოდურად, ინტენსიურად, მყარ მეცნიერულ ბაზაზე დაყრდნობით უნდა გადავწყვიტოთ ბუნებათსარგებლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

— სახალხო მეურნეობის ეკოლოგიურად უვნებელ, მცირენარჩენიან და უნარჩენო ტექნოლოგიაზე გადასვლის დაჩქარება;

— სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობის, მათი გაფართოებისა და რეკონსტრუქციის პროექტების მეცნიერულად და პრაქტიკულად ყოველმხრივ დასაბუთებული ეკოლოგიური ექსპერტიზის ეფექტიანი სისტემის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა; მოქმედი საწარმოების ეკოლოგიური პასპორტიზაცია; ამ საქმეში ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობა;

— ენერგიის ახალი, არატრადიციული წყაროების ძიება, განვითარება და დანერგვა;

— მავნე ნივთიერებათა გამონაბოლქვით გამჭუჭყიანებელი საწარმოებისა და სხვა სახალხო-სამეურნეო ობიექტების ეფექტიანი გაზ- და მტვერდამჭერი მოწყობილობებით აღჭურვა. წყლისა და ენერგიის მოხმარების ექსტენსიური გზებიდან ინტენსიურ გზებზე გადასვლა; საჰაერო სივრცის გაჭუჭყიანების დასაშვებ სანიტარიულ ნორმებამდე შემცირება;

— ზედაპირულ წყალსატევებში ნახმარი და გაუწმენდავი წყლის ჩაშვების კატეგორიული აკრძალვა;

— სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დეგრადაციის და ეროზიის აღკვეთა. არასასოფლო-სამეურნეო მიზნით ვარგისი მიწის ფართობების გამოყოფის აკრძალვა;

— რესპუბლიკის ფლორისა და ფაუნის განუხრელი დაცვა;

— სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უკონტროლო ქიმიზაციის აღკვეთა;

— უახლოეს და შედარებით შორეულ პერსპექტივაში რესპუბლიკაში ასაშენებელი სახალხო-სამეურნეო ობიექტების პროექტების ხელახალი ეკოლოგიური ექსპერტიზა. ამ საქმეში საბჭოთა და საზღვარგარეთის ქვეყნების სპეციალისტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა;

(დასასრული მე-3 გვ.).

საქართველოს კომუნისტური პარტია

პროექტი

საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია

(დასასრული)

— მოსახლეობის ფართო მა- ბის ეკოლოგიური განათლება, მათი ეკოლოგიური კულტურის ონის ამაღლება იმ თვალსაზრისით, რომ ყოველმა მოქალაქემ რესპუბლიკის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება გაითავისოს როგორც პირადი, ისე სამშობლოს გადარჩენის პრობლემა.

5. სახალხო განათლება, მეცნიერება და კულტურა

5.1. კონცეფციის ერთ-ერთი მთავრესი მიმართულებაა სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარება. ამ სფეროში რესპუბლიკას მოპოვებული აქვს გარკვეული წარმატებები, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე ახალი, უფრო რთული, უფრო მასშტაბური ამოცანები, უფრო კეთილშობილური და ამაღლებული მიზნები ისახება ამ დარგების განვითარების წინაშე. ამასთან ერთად ყოველმხრივ შეეწყობა ლი სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას ავტონომიურ ფორმირებებში, რისთვისაც მიზანშეწონილადაა მიჩნეული სათანადო მიზნობრივი პროგრამების შემუშავება;

5. 2. რესპუბლიკაში განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი იქნება ქართული ენა, რომლის განვითარებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ფართოდ გამოყენების სახელმწიფო პროგრამა უკვე მოიწონეს და ერთობლივი გადაწყვეტილებით დაამტკიცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა. ამასთან ერთად, როგორც მთლიანად რესპუბლიკა, ისე მისი ავტონომიური ფორმირებები ყოველმხრივ იზრუნებენ აფხაზური და ოსური ენების განვითარებისა და მათი კონსტიტუციური უფლებების სრული რეალიზაციისათვის. ყველა პირობა შეიქმნება ეროვნებათშორისი ურთიერთობის — რუსული ენისა და რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხების ენების თავისუფალი გამოყენებისა და განვითარებისათვის. სათანადო ღონისძიებები განხორციელდება იმისათვის, რომ საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა არაქართველი ეროვნების ადამიანებმა შეძლონ რესპუბლიკის სახელმწიფო ენის დაუფლება;

5. 3. კონცეფცია მწვავედ აყენებს დღევანდელი რეალობისა და პერსპექტივის გათვალისწინებით ეროვნული საშუალო-ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი სკოლის ჩამოყალიბების დაჩქარების ამოცანას. ასეთმა სკოლამ უნდა აღზარდოს თავისი ქვეყნის ერთგული ახალგაზრდობა, რომელსაც ექნება მაღალი ეროვნული თვითშეგნება, აუცილებელი ზოგადი განათლება და დაუფლებულ იქნება როგორც ძირითად სასწავლო დისციპლინებს, ისე მსოფლიოს ხალხთა სულიერი კულტურის უმთავრეს მიღწევებს. ისეთნაირად უნდა აიგოს აღზრდის მთელი სისტემა, რომ მომავალი თაობა თავის თავს გრძნობდეს პირველ რიგში თავისი ხალხისა და საერთოდ, კაცობრიობის კულტურული წარსულის მემკვიდრედ, აწმყოზე პასუხისმგებლად, მომავლის მშენებლად. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საუნივერსიტეტო და პოლიტექნიკური განათლების პრინციპების გონივრულ შეხამებას. უფრო ზუსტად განისაზღვროს დიპლომირებულ სპეციალისტებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება და მხოლოდ და მხოლოდ ამის მიხედვით მოხდეს სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის რეგულირება.

გადაუდებელი ამოცანაა სპეციალისტთა მომზადების დონის არსებითი ამაღლება. ამ მიზნით ფართოდ უნდა დაინერგოს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა ვადით ურთიერთგაცვლის, რესპუბლიკისათვის პრიორიტეტულ დარგებში მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების სსრ კავშირისა და მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში მომზადების პრაქტიკა. მნიშვნელოვნად გაფართოვდება აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო კონტაქტები. უახლოეს პერიოდში შემუშავდება რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების განვითარების მიზნობრივი პროგრამა. ამ პროგრამაში ყოველმხრივი ასახვა უნდა ჰპოვოს ისეთმა საკითხებმა, როგორიცაა უმაღლესი სასწავლებლებისათვის სრული ავტონომიის მინიჭება, მათი უფრო მიზანშეწონილი და გააზრებული განლაგება რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვ;

5. 4. კონცეფციის შესაბამისად რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარებამ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მსოფლიო ბაზრის უახლეს მოთხოვნებზე ორიენტირებულ მძლავრი საწარმოო ძალების ფორმირებას, ეროვნული ეკონომიკის მობილურ და დინამიკურ განვითარებას. ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდება რესპუბლიკის სამეცნიერო პოტენციალის საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის გაღრმავებისათვის. გაფართოვდება მოწინავე საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრებთან თანამშრომლობა.

პრიორიტეტული პირობები შეიქმნება ქართველოლოგიის ყველა დარგის განვითარებას. გაღრმავდება საქართველოს ისტორიული, ეთნიკური, ეკონომიკური, გეოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური ჩამოყალიბებისა და განვითარების როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტების, აგრეთვე მკვიდრ ხალხებთან მიმართებაში საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ისტორიის, კულტურისა და სხვა საკითხების კვლევა-ძიება;

5. 5. კონცეფციის განუყოფელი ნაწილია ზრუნვა ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული მისი თვითმყოფადობა და განუმეორებლობა. ამასთან სათანადო პირობები შეიქმნება იმისათვის, რათა აუცილებლად შეესაბამებოდეს იგი მსოფლიო კულტურის განვითარების უახლეს დონესა და კრიტერიუმებს.

ამ მიზნით განხორციელდება როგორც შემოქმედებითი, ისე ორგანიზაციული ხასიათის ძირეული ცვლილებები. არსებითი მნიშვნელობა მიენიჭება ამ სფეროს საჭირო სახსრებითა და შესაბამისი მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას. ძალაში დარჩება სახელმწიფო დოტაციის პრაქტიკა, ამასთან ფართოდ დაინერგება სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპები, შეიქმნება თეატრი-სტუდიები, სახელოვანი კოლექტივები, მოძრავი დასები, ცალკეული შემსრულებლებისა და ჯგუფებისაგან შემდგარი შემოქმედებითი კოლექტივები;

5. 6. ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების საქმეში გადამწყვეტ როლს შეასრულებს მწერლობა, რომლის ამოცანაა პერსპექტივის გათვალისწინებით ქართველი ერის მთელი ცხოვრების — წარსულისა და აწმყოს, განსაკუთრებით დღევანდელობის — მართალი და მაღალმხატვრული ასახვა, ჰუმანიზმის, ხალხთა ძმობის, ერთა თანასწორობისა და თავისუფლების იდეების ქადაგება. ქართული მწერლობა ევროპული მწერლობის განუყოფელი ნაწილია და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაა იმ ისტორიული კავშირურთიერთობის აღდგენა, გაღრმავება და განვითარება, რაც მას ამ მწერლობასთან აკავშირებს. ახლებურად გასააზრებელია ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, უახლესი ქართული მწერლობის ძირითადი მოვლენები. ახალ კონცეპტუალურ მიდგომას საჭიროებს ქართული ლიტერატურის საბჭოური პერიოდი. არსებითად უნდა გადაისინჯოს ცალკეული მწერლებისა და ლიტერატურული დაჯგუფებების შეფასებანი;

5. 7. ეროვნული ძალების კონსოლიდაციაში ღირსეული როლი უნდა შეასრულოს ქართულმა თეატრმა. მან მაყურებელზე თავისი უშუალო ზემოქმედების ძალა აქტიურად უნდა გამოიყენოს ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის, ხალხთა ურთიერთგაგების, ჰუმანიზმისა და სიკეთის დამკვიდრებისათვის.

აუცილებელია შემოქმედებითმა კავშირებმა, თეატრებმა უმოკლეს ვადაში შეიმუშაონ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დრამატურგთა კადრების პროფესიონალიზმის ამაღლება. უფრო ეფექტიანი უნდა გახდეს ამ მიმართულებით მუშაობის სტიმულირების ფორმები. ამასთან ერთად, მიზანშეწონილი იქნება რესპუბლიკის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნას დრამატურგიული ხელოვნების სრულყოფის ცენტრი, წამყვან სათეატრო კოლექტივებთან ჩამოყალიბდეს დრამატურგთა სახელოსნოები, სახელმწიფო თეატრებში დაინერგოს სახელშეკრულებო ურთიერთობის სისტემა, გაფართოვდეს როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მსოფლიოს წამყვან სათეატრო ცენტრებში ახალგაზრდა შემოქმედთა მივლინების პრაქტიკა და სხვა;

5. 8. ხელშემწყობი პირობები შეექმნება ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებას, ეროვნული თვითმყოფადობა შეუნარჩუნდება პლასტიკასა და ფერწერას. ამასთან დღენიადაგ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ არ ჩამორჩეთ მსოფლიო ხელოვნების განვითარების ძირითად პროცესებს. ეროვნული სახვითი ხელოვნების ძალა ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა იყოს დასავლური და აღმოსავლური მხატვრობის საუკეთესო ტრადიციებში ღრმა წვდომა, მათი შემოქმედებითი ათვისება და ეროვნულ საფუძვლებთან ორგანული შეხამება. ყველა პირობა უნდა შევუქმნათ ახალგაზრდა მხატვრებს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად.

სათანადო ღონისძიებები განხორციელდება რესპუბლიკაში ახალი საგამოფენო დარბაზების მოსაწყობად. სახვითი ხელოვნების განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს სპეციალური საწარმოების შექმნა. ისინი საჭირო მასალებით უზრუნველყოფენ ხელოვნების მუშაკებს, ფართო კონტაქტებს დაამყარებენ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ფირმებთან;

5. 9. ფართოდ განვითარდება ქართული თვითმყოფადი სამუსიკო ხელოვნება. აქტიურად იქნება იგი გამოყენებული მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მაღალზნეობრივ და ჰუმანისტურ იდეებზე აღზრდისათვის. ამაღლდება მუსიკოს-შემსრულებლების, კომპოზიტორების, მუსიკათმცოდნეების, მუსიკის მასწავლებლების პროფესიული მომზადების დონე. ნიჭიერი ბავშვებისათვის სხვადასხვა რეგიონში შეიქმნება სკოლა-ინტერნატები, გაძლიერდება კონტაქტები საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამუსიკო კულტურის ცენტრებთან, გაფართოვდება ეროვნული სამუსიკო კულტურის ისტორიის კვლევა-ძიება, გაუმჯობესდება ქართული მუსიკის პროპაგანდა, კონსერვატორიის, სხვა სამუსიკო სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფა, სასოფლო რაიონებში მომუშავე პედაგოგების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები;

5. 10. უნდა შევინარჩუნოთ ქართული კინოხელოვნების მაღალი რეპუტაცია მსოფლიოში, გააზრებული ფინანსური და ორგანიზებული პოლიტიკის განხორციელებით უნდა უზრუნველვყოთ ქართული კინოს წინსვლა და საერთაშორისო კინოპროცესებში მისი სრულუფლებიანი მონაწილეობა. ამისათვის უნდა შეიქმნას ქართული კინოხელოვნების თავისუფალი განვითარების პირობები. როგორც ფილმწარმოების, ისე ფილმების გაქირავების საკითხებს დამოუკიდებლად გადაწყვეტს რესპუბლიკა საზღვარგარეთის ქვეყნებთან და მოკავშირე რესპუბლიკებთან პარიტეტული ურთიერთობის საფუძველზე.

კინოწარმოებაში ფართოდ იქნება გამოყენებული როგორც თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპები, ისე სახელმწიფო დაკვეთა, აგრეთვე დაფინანსების სხვა საშუალებები. კინოს ახალი საწარმოო-ფინანსური მოდელის ამოქმედების პირობებში აუცილებელი იქნება დაცვითი მექანიზმის შექმნა და განსაკუთრებით ახალ ეტაპზე სახელმწიფო დოტაციის შენარჩუნება. საჭირო იქნება სავალუტო ასიგნებათა გამოყოფა თანამედროვე ტექნიკის შესაძენად. გადასაწყვეტია ქართული კინოს სპეციალიზებული საფირმო კინოთეატრების შექმნის მიზანშეწონილობის, რესპუბლიკის ფარგლებში ბილეთის ფასის დაწესების და სხვა საკითხები.

კინოხელოვნება უფრო აქტიურად დაამუშავებს საქართველოს ისტორიის თემატიკას, მეტი ყურადღება მიექცევა ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების ეკრანიზაციას. თავის მხრივ, ხელისუფლება სისტემატურად იზრუნებს ამ ტიპის ფილმების წარმოების სახელმწიფო დაკვეთებზე. ამასთან ერთად, კინორეპერტუარში უფრო ფართო ადგილი დაეთმობა აფხაზების, ოსებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების პრობლემატიკის ეკრანულ ასახვას, ეროვნებათაშორისი ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას. მეტად უნდა ვიზრუნოთ საბავშვო კინოს განვითარებაზე, ქართულ ენაზე საუკეთესო უცხოური ფილმების დუბლირებაზე და, პირიქით, ქართულისა — უცხო ენებზე. აქტუალურია მაღალკვალიფიციური კადრების, განსაკუთრებით საერთაშორისო კინოპროცესებში მონაწილეობისათვის საჭირო სპეციალისტების აღზრდა-მომზადების ამოცანა. შესასწავლია თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის მომავალში ინსტიტუტად გარდაქმნის მიზანშეწონილობის, კინომცოდნეობისა და კინოკრიტიკის ორგანიზაციული განმტიცების საკითხებიც;

5. 11. უდიდეს ეროვნულ ამოცანად რჩება საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა. ამ მიზნით შედგება ძეგლთა დაცვის სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, დასრულდება საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ არსებული ძეგლების პასპორტიზაციის სამუშაოები. აღდგენა-განახლების სამუშაოთა გაფართოების მიზნით გაღრმავდება რესტავრატორთა კადრების სპეციალიზაცია და სისტემატურად მომზადებიან ისინი როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ცენტრებში. განვითარდება ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გაიზრდება ამ საქმეში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პასუხისმგებლობა. გაუმჯობესდება ისტორიულ და კულტურულ ღირსშესანიშნაობათა პოპულარიზაციის საქმე. უფრო ფართოდ მოიცავენ მათ საექსკურსიო-ტურისტული მარშრუტები. ამ სახეობის მომსახურებით მიღებული შემოსავლის ნაწილი ძეგლების მოვლა-პატრონობას მოხმარდება;

5. 12. გაუმჯობესდება საბიბლიოთეკო საქმე. არსებითად გადაისინჯება რესპუბლიკის სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკების საქმიანობის პრინციპები, მათთვის საჭირო თანხებისა და წიგნადი ფონდის განსაზღვრის საკითხი. ძირეულად განახლდება საბიბლიოთეკო ფონდების კატალოგიზაციის წესი, განხორციელდება ერთიანი რესპუბლიკური მანქანური კატალოგების შექმნის ღონისძიებანი, შემუშავდება სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების წინადადებანი;

5. 13. თვისებრივად განახლდება სამუზეუმო საქმიანობა. მკაცრად განისაზღვრება იმ მუზეუმების ნუსხა, რომელთა მოწყობასა და შენახვას სახელმწიფო უზრუნველყოფს. ამასთან ფართოდ გავრცელდება კოოპერაციულ, უწყებრივ, კერძო საწყისებზე ორგანიზებული მუზეუმების შექმნის პრაქტიკა. ძირეულად გარდაიქმნება სამუზეუმო ილუსტრირებული კატალოგების, გზამკვლევების, სლაიდების დამზადებისა და სარეკლამო მასალების გამოცემების საქმე. გამონახება მუზეუმების თვითდაფინანსების ახალი, ეფექტიანი ფორმები. ამან ხელი უნდა შეუწყოს მუზეუმების ახალგაზრდა თაობის ზნეობრივი, ესთეტიკური და პატრიოტული აღზრდის ცენტრებად გადაქცევას;

5. 14. საგანგებო ზომები შემუშავდება რესპუბლიკაში ხალხური შემოქმედების განვითარებისათვის. შეიქმნება ამ სფეროს მართვის ერთიანი სისტემა. დაიწყება მისი ინტენსიური მეცნიერული კვლევა. გააქტიურდება ფოლკლორის სწავლება, განხორციელდება ეროვნული ტრადიციების შესწავლის, ფიქსაციისა და პოპულარიზაციის ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ხალხური რეწვის განვითარებას. ამ მიზნით შეიქმნება კოოპერატივები, რომლებიც შეღავათიანი წესით დაიბეგრება;

5. 15. გაფართოვდება ქართული წიგნის გამოცემა. უპირატესად გაიზრდება მხატვრული, საბავშვო, ისტორიული, მემუარული, საცნობარო ლიტერატურის, განახლებული და ახალი ორიგინალური სახელმძღვანელოების, სახვითი ნაბეჭდი პროდუქციის გამოცემები. მკითხველებს მეტი ტირაჟებით მიეწოდება როგორც საგამომცემლო ბიბლიოთეკებითა და სერიებით, ისე ცალკეულ გამოცემათა სახით დასტამბული ქართული კლასიკური ლიტერატურა, აგრეთვე მსოფლიო კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმანები, ხელმოწერითი გამოცემები, საბავშვო და საყმაწვილო, აგრეთვე კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა. ხელი შეეწყობა და გაფართოვდება ავტორთა ხარჯზე წიგნების გამოცემის პრაქტიკა. რესპუბლიკაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანები უკეთ იქნებიან უზრუნველყოფილნი ქართული ენის თვითმასწავლებლებით, სასაუბროებითა და ლექსიკონებით. უფრო ფართოდ გამოიცემა მეთოდიკური ლიტერატურა და თვალსაჩინო მასალა, არაქართული სკოლებისათვის საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, კულტურისა და ხელოვნების საკითხებზე. პირდაპირი კონტაქტები დამყარდება უცხოეთის საგამომცემლო ფირმებთან. გაფართოვდება ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების უცხოურ ენებზე გამოცემა.

განვითარდება რესპუბლიკის პოლიგრაფიული ბაზა, დაინერგება თანამედროვე ტექნოლოგია და მანქანა-დანადგარები. პირდაპირი კავშირები დამყარდება პოლიგრაფიული მანქანების მწარმოებელ საზღვარგარეთულ ფირმებთან. განმტკიცდება საშრიფტო მეურნეობა. განხორციელდება სოციალური ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები ახალგაზრდა პოლიგრაფისტთა კადრების მომზადების სრულყოფისათვის.

5. 16. კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ქართული ეკლესიის ღირსეულ წვლილს ქართველი ერის სულიერი კულტურის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში, გამრავლებასა და განმტკიცებაში, ყოველმხრივ უჭერს მხარს მისი ჰუმანისტური, მშვიდობისმოყვარული და საქველმოქმედო საქმიანობის გაფართოებას. ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის გააქტიურებას დიდად შეუწყობს ხელს სინდისის თავისუფლების შესახებ ახალი კანონპროექტის შემუშავება, რომელსაც საფუძვლად ახლებური აზროვნების მოთხოვნები უნდა დაედოს.

6. ეროვნებათშორისი ურთიერთობა

6. 1. საქართველოს სსრ მრავალეროვნული, მცირე ტერიტორიის მქონე სახელმწიფოა, რომლის შემადგენლობაში შედის აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. გარდა ამისა რესპუბლიკაში მრავლად ცხოვრობენ სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები, ებრაელები, უკრაინელები, ქურთები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. კონცეფცია ყოველმხრივ ითვალისწინებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ამ ობიექტურ რეალობას და სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანად სახავს ქართველი და საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების ტრადიციული მეგობრული თანამშრომლობის განვითარებას, ახალი ვითარების შესაბამისად ეროვნებათშორისი ურთიერთობის რადიკალურ სრულყოფას;

6. 2. რესპუბლიკაში ეროვნებათშორის ურთიერთობას საფუძვლად ედება საქართველოს სსრ მცხოვრები მკვიდრი და სხვა ეროვნების ადამიანთა ინტერესების ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის პრინციპები, მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების საუკუნოვანი ტრადიციები. ეროვნული თანხმობისა და ეროვნული სამართლიანობის მტკიცე გარანტიაა რესპუბლიკაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის მიერ ქართველი ხალხის თვითგამორკვევის უფლების, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის, მისი ინტერესების, ენის, ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა. ამავე დროს, მკვიდრი მოსახლეობა უნდა ცნობდეს და პატივისცემით ეკიდებოდეს საქართველოში მცხოვრები სხვა ერების ინტერესებს, მათ ენას, კულტურასა და ტრადიციებს;

6. 3. კონცეფცია ემყარება იმის ღრმა რწმენას, რომ რესპუბლიკაში ეროვნებათშორისი ურთიერთობაში წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი უნდა წყდებოდეს და გადაწყდება მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების ფარგლებში, პოლიტიკური, დარწმუნებითი მეთოდებით, უშუალოდ დაინტერესებულ მხარეთა დიალოგისა და მოლაპარაკებების საშუალებით. რესპუბლიკის მოსახლეობის კონსოლიდაცია, მისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება საქართველოს სსრ ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. იგი კატეგორიულად დაგმობს და აღკვეთს ნებისმიერ სეპარატისტულ იდეოლოგიასა და მის კონკრეტულ გამოვლინებას;

6. 4. კონცეფცია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თვითმმართველობის გაფართოებას, სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების საფუძველზე მათ დინამიკურ-ეკონომიკური, სოციალურ და კულტურულ დაწინაურებას. რესპუბლიკა ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რათა სრულად და ეფექტიანად ხორციელდებოდეს ავტონომიურ ფორმირებათა კონსტიტუციური უფლებამოსილებანი, წარმატებით ვითარდებოდეს აფხაზური და ოსური ენები და ლიტერატურები, მეცნიერება და კულტურა; უმჯობესდებოდეს ეკოლოგიური ვითარება, დემოგრაფიული პროცესები წარიმართებოდეს აფხაზი, ოსი, ქართველი, აგრეთვე ავტონომიურ ფორმირებათა ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხების ინტერესების გათვალისწინებით, რომელთა ურთიერთობის საფუძველთა საფუძველია ურთიერთგაგება, საუკუნეების განმავლობაში ერთობლივი გარჯით, ბრძოლითა და გამოცდილებით გამომუშავებული ტრადიციების პატივისცემა და შემდგომი განვითარება;

6. 5. კონცეფცია იწონებს და მხარს უჭერს საქართველოში ისტორიულად მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მისწრაფებას თავიანთი ეროვნულ-კულტურული ინტერესების დაკმაყოფილებასთან ერთად აქტიურად იღვაწონ საქართველოს სსრ სრული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის, მისი შემდგომი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, საერთოდ რესპუბლიკის ინტერესების დაცვისათვის. ყოველმხრივ წახალისებას იმსახურებს მათი სურვილი ფართოდ ითანამშრომლონ მკვიდრ მოსახლეობასთან და ამით მტკიცე საფუძველი შეუქმნან ეროვნებათშორის ურთიერთობას;

6. 6. საქართველოს სსრ ყოველი ღონისძიებით იზრუნებს იმისათვის, რათა ყველა პირობა შეიქმნას რესპუბლიკაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის, მოზარდი თაობის მშობლიურ ენაზე აღზრდის, მათი ენისა და კულტურის განვითარების, მორწმუნეთა რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. ამასთან პრიორიტეტული ყურადღება მიექცევა იმ ეროვნებათა ეროვნულ-კულტურულ განვითარებას, რომელთაც საბჭოთა კავშირში არა აქვთ ცალკე ავტონომიური ფორმირებები (ქურთები, ბერძნები, ასირიელები და სხვანი).

6. 7. მკაცრად იქნება დაცული ეროვნული და სოციალური სამართლიანობის პრინციპები. ეს მთლიანად შეესაბამება რესპუბლიკის ეროვნული სუვერენიტეტის მოთხოვნებს. საქართველოს სსრ არ დაუშვებს უკანონობის არანაირ გამოვლინებას, რომელიმე ხალხის ეროვნული ღირსების, ენისა და კულტურის დამცირებას, შეურაცხყოფას, აღკვეთს რელიგიურ ნიადაგზე ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავებას, კატეგორიულად უარყოფს და მომავალშიც დაგმობს ეროვნული განსაკუთრებულობის, ყოყლოჩინობისა და კარჩაკეტილობის რეციდივებს;

6. 8. კონცეფცია ითვალისწინებს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანთა ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების ყოველმხრივ დაკმაყოფილებას, ამასთან თვლის, რომ რესპუბლიკის ეთნიკური მრავალფეროვნების პირობებში ობიექტურად ყოველთვის ვერ იქნება შესაძლებელი საქართველოში მცხოვრები არამკვიდრი ეროვნების ადამიანთა ეროვნული მოთხოვნილებებისა და ინტერესების იმდაგვარი და იმ სისრულით დაკმაყოფილება, როგორც ეს ხდება მათი ძირითადი განსახლების ადგილებში — შესაბამის რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ფორმირებებში;

6. 9. იმის გამო, რომ ეროვნული ინტერესების უგულებელყოფამ პიროვნების კულტის, ვოლუნტარიზმისა და უძრაობის პერიოდში ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სერიოზულ დეფორმაციამდე მიგვიყვანა, კონცეფცია აღიარებს რესპუბლიკის ზოგადეროვნული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ინტერესების პრიორიტეტს აბსტრაქტულად გაგებულ საერთოსაკავშირო ინტერესებთან შედარებით. იმ შემთხვევებში, როცა ვერ ხერხდება ინტერესთა ჰარმონიის მიღწევა ან საერთოსაკავშირო, უწყებრივი ინტერესები აშკარად ეწინააღმდეგება რესპუბლიკის ინტერესებს, წინა პლანზე დგება საერთო ეროვნული ინტერესები;

6. 10. კონცეფციის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს ღონისძიებათა სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს, ერთი მხრივ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში საქართველოდან სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში გადასახლებული მკვიდრი ერების ადამიანებთან კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ხასიათის კავშირურთიერთობის გაფართოებას, ხოლო, მეორე მხრივ, სამშობლოში დასაბრუნებლად მათ ხელშეწყობას.

გაფართოვდება თურქეთში, ირანში, საფრანგეთში, ისრაელსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებთან და მათ შთამომავლებთან კავშირურთიერთობა. სათანადო პატივი მიეგებათ და ეროვნული კულტურის ისტორიაში ღირსეულ ადგილს დაიკავებენ ის ადამიანები, რომლებიც უანგაროდ ემსახურებოდნენ სამშობლოს და ამჟამად სხვადასხვა მიზეზით მივიწყებულნი არიან.

დიდი უსამართლობაა 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან მთელი მაჰმადიანი მოსახლეობის იძულებითი გადასახლება. მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება ამ პრობლემის გარშემო საზოგადოებრივი აზრის, რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის დამოკიდებულების გაუთვალისწინებლობაც. მხედველობაში უნდა მივიღოთ მძიმე დემოგრაფიული ვითარებაც, სვანეთისა და აჭარის დამეწყრილი ზონებიდან სტიქიური უბედურებით დაზარალებული ათასობით ოჯახის სასწრაფოდ გადმოსახლების აუცილებლობა და, რაც მთავარია, ეროვნებათშორისი ურთიერთობის მძაფრი გამწვავების რეალური საფრთხე. ამ ობიექტური რეალობებიდან გამომდინარე, პერსპექტივაში შესაძლებელია მხოლოდ იმ გასახლებული მესხების ეტაპობრივი დაბრუნება და მათი რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე განსახლება, რომელთაც არ დაუკარგავთ ქართული ენა და ქართული ეროვნული ცნობიერება;

6. 11. გაღრმავდება ეროვნებათშორისი ურთიერთობის თანამედროვე პრობლემების მეცნიერული კვლევა და მისი შედეგების პრაქტიკული რეალიზაცია. გაფართოვდება სხვადასხვა ეროვნების მეცნიერთა დიალოგის გამართვისა და ერთობლივი კვლევის პრაქტიკაც. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ ისტორიულ ფესვებსა და თანამედროვე რეალიებს, რაც აახლოებს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხებს, განამტკიცებს მათ ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობას. მკვლევრები მაღალმოქალაქეობრივ ალღოსა და პასუხისმგებლობას უნდა ავლენდნენ იმისათვის, რათა ესა თუ ის ისტორიული მოვლენა ან ფაქტი, რაოდენ დასაბუთებულადაც არ იყოს ისინი გამოკვლეული, არ გახდეს უაზრო ვნებათაღელვის საფუძველი, არ იქნეს აყვანილი პოლიტიკური პრობლემების რანგში;

6. 12. კონცეფცია ყოველმხრივ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ეროვნებათშორისი ურთიერთობის პერსპექტივების რეალური გათვალისწინებით უნდა გადაისინჯოს მოქმედი და შემუშავდეს ახალი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ურთულეს სფეროში არაორდინალური ურთიერთობის რეგულირებას. განსაკუთრებით აუცილებელია გამკაცრდეს და დაკონკრეტდეს იმათი პასუხისმგებლობა, ვინც აღვივებს ეროვნებათშორის შუღლსა და სეპარატისტულ მიდრეკილებებს, აქეზებს ერთი ერის წარმომადგენლებს მეორეზე, აწყობს პროვოკაციებს, სისხლიან აქციებს, შეურაცხყოფს ადამიანთა ეროვნულ ღირსებას, მათ ენას, კულტურას, ვისაც პირადი ამბიციები, ყოფითი პრობლემები დანაშაულებრივად ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში გადააქვს.

7. პარტია და საზოგადოება

7. 1. ხალხთა ეროვნული თვითშეგნების მკვეთრად ამაღლების, საზოგადოებრივ-ეროვნულ მოძრაობათა სწრაფი განვითარების, ეროვნული და ეროვნებათშორისი პრობლემების გამწვავების პირობებში, რაც ობიექტურ რეალობად იქცა მთელს საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოშიც, რესპუბლიკას, მის პარტიულ ორგანიზაციას შესწევს უნარი დადგეს აქტიურ პოზიციებზე, არ ელოდოს მზამზარეულ გადაწყვეტილებებს, რომლებმაც შეუძლებელია თუნდაც მეტ-ნაკლები სისრულით ასახონ თითოეული რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის, მათი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული განვითარების პრობლემები, ეროვნებათშორისი ურთიერთობის სპეციფიკა, ეროვნულ-ისტორიული თავისებურებები, დღევანდელი და პერსპექტიული ამოცანები;

7. 2. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისიც, რომ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გარდაქმნა როგორც დროის, ისე მუშაობის ფორმებისა და შინაარსის მიხედვით აშკარად ჩამორჩება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს. ეს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ეროვნული განვითარების, ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში. უმთავრესად ამან გამოიწვია ამ პროცესებში სტიქიურობის, არაორგანიზებულობის, საზოგადოების სხვადასხვა ფენის დაპირისპირების ელემენტების მოძალება, სხვა სერიოზული გართულებები. დღეს გადაუდებლად აუცილებელია პარტიული ორგანიზაციები არა მარტო აქტიურად მონაწილეობდნენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესებში, არამედ წამყვან, ავანგარდულ როლს ასრულებდნენ მათ გაღრმავებაში, მართვასა და რეგულირებაში;

7. 3. საჭიროა განვთავისუფლდეთ ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის, საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალების არსის არასწორი გაგებისაგან, ეროვნული პრობლემების უგულებელყოფისაგან. ეს სახელს უტეხს პარტიულ ორგანიზაციას, მკვეთრად უპირისპირებს მას საზოგადოებას. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია უთუოდ უნდა გახდეს და გახდება კიდეც თვისებრივად განახლებული, ახალი დროის შესაფერისად გარდაქმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც უპირველეს მიზნად ისახავს ხალხის კეთილდღეობის არსებით ამაღლებას, ეროვნული განვითარების სფეროში მდგარი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა ხასიათის პრობლემების გადაწყვეტას;

7. 4. საჯაროობისა და დემოკრატიზაციის გაფართოება-გაღრმავების ვითარებაში ყოვლად დაუშვებელია შიგაპარტიული ცხოვრების, დემოკრატიის ნებისმიერი შეზღუდვა; გაბედულად უნდა მოვიცილოთ თავიდან პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ყავლგასული, კონსერვატიული, დოგმატური ფორმები და მეთოდები. პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებშიც, პირველად პარტიულ ორგანიზაციებშიც უნდა გადავეჩვიოთ ჩინოვნიკურ მუშაობას, გადაჭრით ვთქვათ უარი ხალხის ფართო მასებისაგან იზოლირებულ, კარჩაკეტილ საქმიანობაზე. ამასთან პარტიული კომიტეტების, თვით ცენტრალური კომიტეტისა და მისი ბიუროს შემადგენლობაში პარტიულ და საბჭოთა მუშაკებთან ერთად ფართოდ უნდა წარმოვადგინოთ მუშათა კლასის, გლეხობის, სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ახალგაზრდობის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ეს, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს პარტიული აპარატის მუშაობის შინაარსისა და ფორმების ძირეულ გარდაქმნას. აპარატი მთლიანად უნდა განთავისუფლდეს იმ ფუნქციების შესრულებისაგან, რომლებსაც საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოები უნდა ახორციელებდნენ. ამ მიზნით ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს საბჭოების ფუნქციათა შემდგომ გაფართოებას, მათ დემოკრატიულ პრინციპებზე ფორმირებას, საბჭოების მიერ რეალური ძალაუფლების მოპოვებასა და განხორციელებას;

7. 5. რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მის მიერ სრული სუვერენიტეტის მიღწევის კვალობაზე ობიექტურად სულ უფრო აუცილებელი გახდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შიგნით საქართველოს კომუნისტური პარტიის ავტონომიისა და დამოუკიდებლობის გაფართოება, რისკენაც პირველი ნაბიჯები ახლავე უნდა გადაიდგას. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ეროვნული, რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით საქართველოს კომპარტიის სტატუსის შემუშავება, ღონისძიებათა იმ სისტემის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ჭეშმარიტ თავისთავადობას, მისი თვითმმართველობის არსებით გაფართოებას;

ახლებურად, დემოკრატიულ საფუძვლებზე უნდა გადაწყდეს რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების, სხვა ორგანიზაციების შესაბამის საკავშირო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხიც;

7. 6. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიული კომიტეტების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების, საკადრო და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს შეეხება, წინასწარ ფართოდ იქნება განხილული სათანადო დარგის სპეციალისტებისა და საზოგადოებრიობის მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება მათი დამტკიცება. ამავე მიზნით აქტიურად უნდა მივმართავდეთ რესპუბლიკის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე რეფერენდუმის მოწყობის პრაქტიკას; უმაღლესმა საბჭომ უნდა განსაზღვროს მისი ჩატარების წესი;

7. 7. საჯაროობისა და დემოკრატიზაციის გაღრმავების პირობებში სრულიად ბუნებრივია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტისას არა მხოლოდ აზრთა პლურალიზმი, არამედ ნებისმიერი ოპოზიციური მოძრაობაც, თუკი იგი არ ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს, მიზნად არ ისახავს საზოგადოებრივი ცხოვრების მოშლასა და ანარქიას.

ამიტომ, გაგებით უნდა მოვეკიდოთ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, სხვადასხვა მიმართულების საზოგადოებრივ-ეროვნულ მოძრაობებს. დაუშვებელია საზოგადოების ე. წ. ფორმალებად და არაფორმალებად დაყოფა, როგორც რომელიმე ორგანიზაციისა და უწყების, ისე ვისიმე აზრის, შეხედულების მონოპოლიზაცია, როგორი ავტორიტეტულიც არ უნდა იყოს ეს ორგანიზაცია, უწყება და პიროვნება. უნდა ვცნოთ და პატივი ვცეთ საზოგადოების ნებისმიერი წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და მოვალეობებს, რომელ ფენასაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს იგი და როგორი შეხედულებებიც არ უნდა ჰქონდეს მას. ოპოზიციასთან ურთიერთობის უმთავრესი ფორმა დაინტერესებული, კეთილგანწყობილი, პრინციპული, საქმიანი, პატიოსანი დიალოგი უნდა იყოს. უნდა გვახსოვდეს, რომ ძირითადი, უმთავრესი ეროვნული ინტერესების მიხედვით ერთიანია მთელი ჩვენი საზოგადოება და ყველას აქვს უფლება კონსტიტუციის ფარგლებში იღვწოდეს ერის კეთილდღეობისათვის. ამასთან, ყველა ადამიანი, მისი თანამდებობისა და მსოფლმხედველობის მიუხედავად, პატივს უნდა სცემდეს კანონებს, გრძნობდეს და ინაწილებდეს პირად პასუხისმგებლობას სიტყვისა და კონკრეტული საქმეებისთვის, მითუმეტეს, როცა ეს ეროვნულ საკითხებს შეეხება;

7. 8. პარტია ყოველმხრივ წაახალისებს და ხელს შეუწყობს მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიან, კონკრეტულ აქტივობას, ნებისმიერ ინიციატივას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში, რომლებიც ქვეყნის, ხალხის ხაკეთილდღეოდ იქნება მიმართული, რადგან ღრმად სწამს, რომ სწორედ ხალხის ცოცხალი შემოქმედებაა საზოგადოებრივი წინსვლის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა.

7. 9. პარტიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი სიწმინდისათვის ქმედითი ზრუნვა. შეუძლებელი იქნება წინსვლაზე ლაპარაკი, ვიდრე ბოლო არ მოეღება პროტექციონიზმს, ძმაბიჭობას, მექრთამეობას, კომბინატორობას, სახალხო დოვლათის დატაცებას, სხვა სამართალდარღვევებს, განსაკუთრებით სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელ მუშაკთა მხრიდან. ყველგან და ყველაფერში უნდა დამყარდეს სოციალური სამართლიანობა. ამ საქმეში რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას დიდი იმედი აქვს ფართო საზოგადოებრიობის, მუშათა კლასის, სოფლის მშრომელების, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის აქტიურობისა და ყოველმხრივი თანადგომისა;

7. 10. უფრო დემოკრატიული, შეუზღუდავი, დიქტატისაგან თავისუფალი გახდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. არსებითად შეიცვლება მათი მუშაობის სტილი და მეთოდები, პუბლიკაციებისა თუ ტელე და რადიოგადაცემების შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი სიმართლე, პრინციპულობა, ობიექტურობა, კომპეტენტურობა, მაღალი პროფესიონალიზმი იქნება. გამოვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ახალი პერიოდული გამოცემები, გაიზრდება ტელევიზიისა და რადიოს სამაუწყებლო დრო, გაფართოვდება გადაცემების ტექნიკური მიღების გეოგრაფიული არე, ადგილობრივი რადიომაუწყებლობის ქსელი, მომზადდება პირობები დიდ ქალაქებსა და რეგიონულ ცენტრებში სატელევიზიო სტუდიების შესაქმნელად, გაუმჯობესდება ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაინერგება სამეურნეო ანგარიში;

კონცეფციის იდეები, მისი მიზანდასახულობა შეესაბამება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის სულისკვეთებას. მასში რესპუბლიკაში არსებული ობიექტური ვითარების, მისი სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული თავისებურებების, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით გააზრებულია ის დებულებები, რომლებსაც შეიცავს სკპ პლატფორმის პროექტი თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის დარგში.

კონცეფციის პროექტი, რომელიც საერთო-სახალხო განხილვისათვის გამოაქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ჩვენი მუშათა კლასის, სოფლის მშრომელების, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით შემუშავებული დოკუმენტია. საჭიროა გულდასმით განვიხილოთ იგი თითოეულ პარტიულ ორგანიზაციაში, თითოეულ შრომით კოლექტივში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში, შემოქმედებით კავშირსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. მხოლოდ ასეთნაირი დახვეწა-გამდიდრების შემდეგ უნდა გახდეს იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, წარმოება-დაწესებულებების, რესპუბლიკაში მცხოვრები ყოველი ადამიანის სამოქმედო პროგრამა.

ცხადია, კონცეფციის პროექტი მხოლოდ ზოგადი სახით მოიცავს ეროვნული განვითარების სფეროში საქართველოს წინაშე მდგარ ურთულეს პრობლემებს და ასევე ზოგადი სახით განსაზღვრავს მათი გადაწყვეტის გზებს. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მთელი ჩვენი საზოგადოების აქტიური მხარდაჭერითა და თანადგომით მოუწევთ ურთულესი სამუშაოს შესრულება, რათა კონცეფციაში გამოხატულმა თითოეულმა აზრმა, იდეამ, მიმართულებამ დეტალური და კონკრეტული გამოხატულება ჰპოვოს შესაბამის კანონში, სამთავრობო გადაწყვეტილებასა და ნორმატიულ საკანონმდებლო აქტში, მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამებში და, რაც მთავარია, ხორცი შეისხას პრაქტიკული საქმეებით.

რევოლუციურმა გარდაქმნებმა, რომლებიც ახლა ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, გამოაღვიძა თითოეული ხალხის ეროვნული თვითშეგნება, აამოქმედა მათი ენერგია და პოტენციალი. საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მოვალეა აქტიურად გამოიყენოს თავისი ხალხის ეროვნული განახლებისათვის შექმნილი ეს დიდი შესაძლებლობა. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ სრული ეროვნული სუვერენიტეტისაკენ მხოლოდ და მხოლოდ დაძაბულ შრომას, მაღალ კვალიფიკაციას, კომპეტენტურობას, პროფესიონალიზმს, წესრიგსა და ორგანიზებულობას, კონსტიტუციისა და კანონების პატივისცემას, სხვა ხალხებთან მეგობრობასა და თანამშრომლობას მივყავართ. მხოლოდ მთელი ჩვენი ხალხის ერთიანობით, მაღალი რწმენით, საერთო ძალისხმევითა და შემართებით შევძლებთ ჩვენი ამაღლებული, კეთილშობილური მიზნის მიღწევას.

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ „კომუნისტი"

1990 წლისათვის „კომუნისტზე" ხელმოწერა გრძელდება მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე

რას გპირდებით მომავალ 1990 წელს?

რედაქციის განყოფილებები, ჩვენი გაზეთის თითოეული მუშაკი გრძნობენ პასუხისმგებლობას მრავალრიცხოვანი მკითხველის წინაშე და მთელ თავიანთ ცოდნას და ჟურნალისტურ გამოცდილებას მოახმარენ გაზეთის სრულყოფას.





პოლიტიკური სისტემის რეფორმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, მოითხოვს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების არსებით გარდაქმნას, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას, პარტიის შინაგან თვითგანწმენდასა და თვითამაღლებას. სწორედ ამ პრობლემებზე გაამახვილებს ყურადღებას გაზეთი „კომუნისტი", დაიბეჭდება პუბლიცისტური წერილები, მოეწყობა „მრგვალი მაგიდა", ანკეტური და სოციოლოგიური გამოკვლევები.

დღეს, როდესაც რეალურად ისმის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის, ენისა და კულტურის დაცვა-განვითარების საკითხები, ჩვენი გაზეთის ფურცლებს კვლავ ხშირად დავუთმობთ გამოჩენილ მეცნიერებსა და მკვლევარებს, მწერლებსა და ხელოვნების დარგის მოღვაწეებს, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს წარსულში დაშვებული შეცდომების გამომზეურებას, ისტორიული სიმართლის აღდგენას, მთელი ეროვნული ძალების კონსოლიდაციას.

მომავალ წელს ყურადღების ცენტრში კვლავაც იქნება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში რადიკალურ რეფორმასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების გაშუქება, გარჯისა და მატერიალური სტიმულირების პროგრესული ფორმების, კერძოდ, სანარდო ურთიერთობის, იჯარის დანერგვის მიმდინარეობა, კონკრეტული მაგალითებით ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის შუქ-ჩრდილების ჩვენება.

ყველა ეს და სხვა საგულისხმო საკითხები, ცხადია, ეკონომიკური სუვერენიტეტის პირობებში სახალხო მეურნეობის ფუნქციონირებასთან მჭიდრო ურთიერთკავშირით განიხილება, გაზეთის ფურცლებზეც სწორედ ამის გათვალისწინებით წარმოჩნდება ისიც, თუ რა კეთდება და უნდა გაკეთდეს კონკრეტულად მაღალხარისხოვანი, კონკურენტუნარიანი ნაწარმის შექმნის, საამისოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა თანამიმდევრული დანერგვის, მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის გაზრდისათვის. ვიზრუნებთ იმისათვის, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს ამ მხრივ არა მარტო საქართველოში, არამედ მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული მოწინავე გამოცდილებაც.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ყოველივე ამის შემოქმედს — მშრომელ ადამიანს, მის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, სატკივარსა თუ სიხარულს.

თვალთახედვის ცენტრში იქნება ფუნდამენტური მეცნიერების პრიორიტეტულ მიმართულებათა განვითარების, მისი წარმოებასთან, დარგობრივ სამეცნიერო დაწესებულებებთან და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებთან კოორდინაციის პრობლემები, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა თანამედროვე აღჭურვილობისა და მეცნიერთა კადრების მომზადების საკითხები. რეგულარულად დაიბეჭდება ქართველ მეცნიერთა სტატიები ეკოლოგიური და დემოგრაფიული სიტუაციის თაობაზე. გავაგრძელებთ საუბარს სკოლის გარდაქმნის ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე.

გაზეთის ფურცლებზე მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ლიტერატურა და ხელოვნება. დაიბეჭდება ახალი ლექსები, მოთხრობები, პრობლემური წერილები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი პორტრეტები, სტატიები და რეცენზიები ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, თეატრალურ დადგმებზე, საგასტროლო მოგზაურობებზე.

დაგეგმილია წერილების ციკლი თანამედროვე ეროვნული სახვითი ხელოვნების, არქიტექტურის, მუსიკის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების პრობლემებზე.

გაზეთის ფურცლებზე ყოველკვირეულად გამოქვეყნდება სხვადასხვა მტკივნეულ პრობლემებზე მკითხველთა აზრების, წინადადებების, კრიტიკული გამონათქვამების შენაკრები რუბრიკით — „წერილები კომუნისტს", ცალკე განყოფილებები მიეძღვნება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს. მკითხველი მუდმივად იქნება ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რა შედეგი მოჰყვა ამა თუ იმ კრიტიკულ პუბლიკაციას.

გაზეთი ფართოდ გააშუქებს საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს. ყოველდღიურ ოპერატიულ ინფორმაციასთან ერთად, მკითხველებს შევთავაზებთ მიმოხილვითს მასალებს, კომენტარებს ამა თუ იმ საყურადღებო პოლიტიკური მოვლენის შესახებ, საინტერესო პუბლიკაციებს უცხოეთის პრესიდან სოციალურ-ეკონომიკურ, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების საკითხებზე. და რაც მთავარია, დიდი ადგილი დაეთმობა ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას.

გამოიწერეთ გაზეთი „კომუნისტი". გარწმუნებთ, რომ იგი გაამართლებს თქვენს იმედებს, იქნება თქვენი ერთგული მრჩეველი, თანამდგომი და შემწე დიდი ეროვნული და საქვეყნო საქმეების განხორციელებაში.

ინთება რამპის ჩირაღდნები

საფუძველი — მშობლიური დრამატურგია

გუშინ, 16 სექტემბერს გრ. რობაქიძის „გრაალის მცველნით" სამოცდამეერთე სეზონი გახსნა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა. ჩვენი კორესპონდენტი გიორგი ლალიაშვილი ესაუბრა თეატრის დირექტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გაიოზ კანდელაკს.

— ბატონო გაიოზ, გასული სეზონი თქვენი თეატრისათვის რთული აღმოჩნდა, თეატრის შემოგარენის რემონტი, დაძაბული დრო, ყოველივე ამან თეატრის მუშაობას საკმაოდ შეუშალა ხელი.

— სამაგიეროდ, ზაფხული გვქონდა დატვირთული, საკონცერტო პროგრამით შემოვიარეთ აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონი. ამ პროგრამაში თეატრის წამყვანი მსახიობები მონაწილეობდნენ, დიდძალ მაყურებელს მოვემსახურეთ, რადგან ჩვენს პროგრამას სტადიონებზე ვაჩვენებდით. ასევე გვქონდა ათდღიანი გასტროლი თელავსა და გურჯაანში. მიმდინარე რეპერტუარის ოთხი სპექტაკლი ვუჩვენეთ იქაურ მაყურებელს: გრ. რობაქიძის „გრაალის მცველნი", შექსპირის „ფოლსტაფი", შილერის „ვერაგობა და სიყვარული", ედუარდო დე ფილიპოს „მილიონერი ნეაპოლი". გურჯაანში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გივი ბერიკაშვილის შემოქმედებითი საღამო, მშობლიურმა რაიონმა გულის სითბო შეაგება მსახიობს და მის თეატრს.

გასული სეზონის მონაპოვარია ის, რომ ჩვენი თეატრი საერთაშორისო მასშტაბით წარმოჩნდა მადრიდის ფესტივალზე, სადაც მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებმა" დიდი ინტერესი გამოიწვია; ამის დასტურია იქაური პრესაც.

— რაზე ეპატიჟებით მაყურებელს ახალ სეზონში და როგორია თქვენი მომავალი შემოქმედებითი გეგმები?

— მაყურებელს ორ პრემიერაზე ვიწვევთ. ესაა გრ. რობაქიძის „გრაალის მცველნი" (რეჟისორი დავით ანდღულაძე) და ედუარდო დე ფილიპოს „ხელშეკრულება" (რეჟისორი თემურ აბაშიძე). საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება ჩვენი შემოქმედებითი გეგმები: თემურ ჩხეიძე დადგამს მიხ. ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშას", გიორგი თოდაძე იმუშავებს ალ. ყაზბეგის „მოძღვარზე", მედეა კუჭუხიძე ჯაბა იოსელიანის „დედოფალ მარიამზე", ხოლო გიგა ლორთქიფანიძე ევგენი ევტუშენკოს „დარტანიანის სიკვდილით" (თარგმნეს და გაასცენიურეს მ. ქვლივიძემ, ლ. ღლონტმა) დაინტერესდა.

განზრახულია დაიდგას ჟან პოლ სარტრის „ეშმა და ღმერთი", აუგუსტ სტრინდბერგის „ერიკ XIV". განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ ახალი პიესები მოიტანეს გრიგოლ აბაშიძემ, თამაზ ჭილაძემ, ოთარ მამფორიამ, ახალგაზრდა დრამატურგმა გიორგი გამსახურდიამ.

— თქვენი თეატრის რეკონსტრუქცია, როგორც ჩანს, კუს ნაბიჯით მიიწევს წინ, მაყურებელს წელს არავითარი სიახლე არ ხვდება თვალში...

— სწორად ბრძანეთ. ერთი კი ცხადია, თეატრის შიგა რეკონსტრუქცია ისეთ დროს უნდა მოხდეს, რომ მუშაობაში ხელი არ შეგვეშალოს, თანაც ოპერატიულად. ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ „დროებით" სხვას მივეკედლოთ და ეს წლობით გაგრძელდეს. — ქალაქის ხელმძღვანელობამ ეს უნდა გაითვალისწინოს. გარდა ამისა, ჩვენი აზრია, თეატრის შესასვლელი შეიცვალოს, მაყურებელი ჯერ გარდერობსა და სარდაფში კი არ აღმოჩნდეს, არამედ სადღესასწაულო გარემოში, პირდაპირ ფოიეში. საამისოდ საჭირო გახდება ეხლანდელი შენობის მეორე სართულის დაკავშირება ქუჩასთან საპარადო ხიდურით. ეს ჩვენი საერთო აზრია და ასეთი ვარიანტი თეატრის რეკონსტრუქციის ავტორს, არქიტექტორ ვლ. ქურთიშვილსაც მოსწონს.

— მკითხველისათვის საინტერესოა, როგორი სახე მიიღო ექსპერიმენტის პირობებში თეატრის ორგანიზაციულმა მხარემ, რამდენად შეეწყობა ხელი ახალგაზრდა მსახიობთა პროფესიულ ზრდას, როგორ იქნება იმათი საქმე, რომლებიც თქვენთან შტატგარეშეებად ითვლებიან?

— ჩვენს თეატრში გარკვეული გარდაქმნა მოხდა, აღარ არსებობს სამხატვრო ხელმძღვანელი და სამხატვრო საბჭო, შეიქმნა კოლეგია ხუთი წევრის შემადგენლობით: მედეა კუჭუხიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, კოტე მახარაძე, თემურ ჩხეიძე (კოლეგიის ხელმძღვანელი) და მე.

მალე ჩვენს ხელთ იქნება ახალი დადგენილება, რომელიც, იმედია, ექსპერიმენტში ჩართულ თეატრებს, მის მსახიობებს სასიკეთო პირობებს შეუქმნის. ჯერჯერობით გვყავს რამდენიმე შტატგარეშე მსახიობი. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი სიახლე, რომელიც ითავა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა. კოლეგიამ მის გულწრფელ წინადადებას, რომ ის იქნება შუამავალი თეატრისა და ახალგაზრდობას შორის, — მხარი დაუჭირა; ახალგაზრდობას შეუძლია ნებისმიერი რეჟისორის მოწვევა, აგრეთვე თავისივე სურვილით პიესისა და დამდგმელი ჯგუფის არჩევა. აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველი ორშაბათი დღე დაეთმობა კოტე მახარაძის ერთი მსახიობის სპექტაკლს, ეს იქნება ჩვენი მხარდაჭერა ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის თეატრისადმი, სანამ გამოინახება მისთვის მუდმივი და შესაფერისი დარბაზი.

1990 წლის მაისში თეატრი მიწვეულია შოტლანდიაში, გლაზგოს საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მიგვაქვს ლალი როსებას „პროვინციული ამბავი" და, საერთოდ, ერთობლივად გადავწყვიტეთ, ჩვენი თეატრი ქართული დრამატურგიით წარმოვაჩინოთ ხოლმე საერთაშორისო მასშტაბით, როგორც ეს მოხდა წელს მადრიდის ფესტივალზე.

ჩუმად!

დავით იაკობაშვილის ფოტო.

მეცნიერის შრომის აღიარება

ჰოლანდიის ქ. როტერდამში ცნობილმა გამომცემლობამ „ა. ა. ბალკემა პაბლიშერმა" რუსულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კათედრის გამგის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნიკოლოზ მოწონელიძის მონოგრაფია, მიძღვნილი კონტრფორსული კაშხლების მდგრადობისა და სეისმომედეგობის თეორიული გამოკვლევებისადმი.

თარგმანის დედანი 1971 წელს არის გამოცემული მოსკოვის ცენტრალური გამომცემლობა „ენერგიის" მიერ, 17 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით.

პროფესორ ნ. მოწონელიძის მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებაა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა, უპირატესად კი სხვადასხვა ტიპის კაშხლების სიმტკიცის, მდგრადობის, დინამიკისა და სეისმომედეგობის კვლევა მატრიცული მათემატიკური აპარატისა და სამშენებლო მექანიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. მან პირველმა მიმართა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გაანგარიშებებში მატრიცების თეორიას, რამაც განაპირობა თანამედროვე გამოთვლითი მანქანების როლისა და ეფექტიანობის ამაღლება. სწორედ აღნიშნული თეორია უდევს საფუძვლად კონტრფორსული კაშხლების მდგრადობისა და სეისმურ ზემოქმედებაზე გაანგარიშების მის მიერ დამუშავებულ მეთოდებს, რომლებიც დაინერგა საბჭოთა კავშირში აგებული პირველი მასიურ-კონტრფორსული კაშხლების (ანდიჟანის — უზბეკეთი და კიროვის — ყირგიზეთი) დაპროექტების პრაქტიკაში. ქართველი მეცნიერის მიერ დამუშავებული მეთოდების აქტუალობაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ავტორიტეტული ესპანური საპროექტო-სამშენებლო ფირმა კონტრფორსული კაშხლების პროექტების დასაბუთებისას სწორედ მათ იყენებს.

უდავოა, რომ მონოგრაფიაში შემოთავაზებული გაანგარიშებათა თეორიის აქტუალობამ განაპირობა მისი უცხოეთში გამოქვეყნება.

— რა თქმა უნდა, გახარებული ვარ ამ ფაქტით, — გვეუბნება მონოგრაფიის ავტორი, — მაგრამ კიდევ უფრო კმაყოფილი ვიქნებოდი, რომ „ა. ა. ბალკემა პაბლიშერს" იმთავითვე საქმის კურსში ჩავეყენებინე. ამით, ჩემი აზრით, თარგმანიც უფრო მოიგებდა, რადგან შესაძლებლობა მომეცემოდა გამეახლებინა მონოგრაფია, სახელდობრ, შემეტანა მასში ერთ-ერთი ამოცანისათვის შემდგომში მიღებული განზოგადებული ამონახსნი.

მ. ქორიძე.

სპორტის ამბები

ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი

დაინტერესებულმა საზოგადოებრიობამ იცის: ბოლო ხანს საქართველოში ფართოდ გაიშალა მუშაობა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შესაქმნელად. რესპუბლიკაში ოლიმპიური მოძრაობის გზაზე გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბის დაარსება. დიახ, კლუბმა უკვე მიიღო ოფიციალური სტატუსი — 13 სექტემბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა დამფუძნებელი კრება. დამტკიცდა კლუბის წესდება, აირჩიეს პრეზიდენტი — პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან დავით ციმაკურიძე, ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია რომის ოლიმპიადის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში რობერტ შავლაყაძე, მდივნად 1952 — წლის ოლიმპიადის ჩემპიონი მზია ჯუღელი.

კლუბის მთავარი ამოცანაა მხარი დაუჭიროს რესპუბლიკაში გაჩაღებულ ოლიმპიურ მოძრაობას, იზრუნოს ოლიმპიური იდეალების დაცვისათვის, ხალხის, ახალგაზრდა თაობის ფიზიკური და სულიერი აღზრდისათვის. ცხადია, ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური აკადემიის შექმნაში.

სატურნირო ორბიტა

რაგბი. მოსკოვში, „ფილის" სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო მატჩი: მოსკოვის ნაკრები — ზიმბაბვე. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 24:6 (10:6). უფრო ადრე ზიმბაბველი მორაგბეები, როგორც იცით, საქართველოს ნაკრებთან დამარცხდნენ.

ველოსპორტი. ბოლო დროს საბჭოთა სპორტსმენები სისტემატურად გამოდიან პროფესიონალთა ტურნირებში. იტალიის გზატკეცილებზე დამთავრდა ევროპის დიდი პრიზის გათამაშება პროფესიონალთა შორის. საბჭოთა ველოსიპედისტებმა ორი რბოლის ჯამში საუკეთესო შედეგი აჩვენეს და მთავარ პრიზს დაეუფლნენ. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა იტალიელმა მაურიციო ვანდრიესტმა.

სტიქია და ადამიანები

ეპიცენტრი — კასპიის ზღვაში

მიწისძვრა თბილისში

16 სექტემბერს თბილისში ადგილობრივი დროით 7 საათსა და 6 წუთზე მოხდა 3-4 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა. ასეთი ძალის მიწისქვეშა ბიძგმა ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენა ქალაქის საცხოვრებელ სახლებსა და ნაგებობებს.

— მიწისძვრის ეპიცენტრი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ცენტრალური სეისმოლოგიური ობსერვატორიის „თბილისის" მორიგე ინჟინერმა ნოდარ გეორგაშვილმა, — დაახლოებით 600 კილომეტრზე იყო რესპუბლიკის დედაქალაქის აღმოსავლეთით, ბაქოს მახლობლად, კასპიის ზღვის აკვატორიაში. აქ მიწისძვრის ძალა, წინასწარი მონაცემებით, 6-7 ბალს აღწევდა. ბაქოში მიწისძვრის ძალამ, როგორც ქართველ კოლეგებს აცნობეს აზერბაიჯანელმა სეისმოლოგებმა 5,5 ბალი შეადგინა.

• • •

მიწისძვრა თურქმენეთსა და აზერბაიჯანში

აშხაბადი. 16 სექტემბერი (საქდესი). დღეს ადგილობრივი დროით 8 საათსა და 5 წუთზე კრასნოვოდსკის ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 120 კილომეტრზე მიწისძვრა მოხდა. მისი ძალა ეპიცენტრში — კასპიის ზღვაში — 8 ბალს აღწევდა. კრასნოვოდსკსა და ბექდაშში მიწისქვეშა ბიძგებმა 7 ბალს მიაღწია, ნებიტ-დაღში — 4 ბალს. მიწისძვრამ აზერბაიჯანის სანაპირომდე მიაღწია. ბაქოსა და სუმგაითში ხუთბალიანი ბიძგები აღინიშნა. მიწისძვრას მსხვერპლი და რამდენადმე მნიშვნელოვანი ნგრევა არ მოჰყოლია.

დანაშაულის კვალდაკვალ

სისხლიანი ბეჭედი

შემაძრწუნებელი დანაშაული მოხდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურუყვეთში. 1989 წლის 3 აგვისტოს დების ალექსანდრა და ფეოდორა გიგინეიშვილის ბინაში მეზობლებმა მათი გახრწნილი გვამები იპოვეს. ამ თავზარდამცემმა ამბავმა მთელი სოფელი ფეხზე დააყენა. სასწრაფოდ აცნობეს შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას.

გარდაცვლილებს ჩამტვრეული ჰქონდათ თავის ქალა, სხეულზე კი ემჩნეოდათ ჭრილობები. ოთახებში სრული არეულობა სუფევდა. შეიქმნა საგანგებო სამძებრო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ განყოფილების უფროსის მოადგილე თამაზ კუნჭულია, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი თენგიზ ცინცაძე, ოპერრწმუნებულები დაზმირ ქვანია, დავით დოლიძე, უბნის ინსპექტორები ტარიელ ხოფერია, გია გურგენიძე, დავით ცაცვაძე, ინსპექციის უფროსი ინსპექტორი მერაბ ხუხუნაშვილი, ინსპექტორი თენგიზ კიკვაძე. ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალა ამ განყოფილების უფროსს, მილიციის პოდპოლკოვნიკს გოდერძი ქურიძეს.

ოცი დღის შემდეგ, როცა ბოროტმოქმედთ თავი უკვე სამშვიდობოს ეგონათ, ისინი დააკავეს. სამი მათგანი ადგილზე შეიპყრეს, მეოთხე კი პერმში.

ვინ არიან ამ საზიზღარი მკვლელობის ჩამდენნი? ძირითადად მეზობლები, ამავე სოფლის მკვიდრნი. აი ისინიც: ელიზბარ შალვას ძე ბენდელიანი. ამ ძალღონით სავსე ახალგაზრდას მხოლოდ დანაშაულისკენ უჭირავს თვალი, რაღაც გროშისათვის ეშმაკსაც კი მიჰყიდის სულს. ახლახან დაბრუნდა პატიმრობიდან, ეგონათ გამოსწორდა, პატიოსან ცხოვრებას დაუბრუნდაო, მაგრამ... ჯუმბერ თედორეს ძე გიგინეიშვილი. ესეც ჯურუყვეთელი გახლავთ, მძღოლად მუშაობდა ლანჩხუთის „არგომრეწვტრანსის" სატვირთო მანქანაზე, სწორედ ამ მანქანით მიიყვანა დანაშაულის ადგილას ბოროტგამზრახველნი მეზობლის გასაძარცვად. მკვლელობის მონაწილენი არიან აგრეთვე მეზობელი სოფლების ნიგოითისა და ეწერის მკვიდრნი რევაზ თედორეს ძე გოგიშვილი და ნუგზარ შუქრის ძე მანწკავა.

შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებთან ერთად გავესაუბრეთ მკვლელებს, რომლებმაც არაადამიანური გულგრილობით, ურცხვად წარმოგვიდგინეს მკვლელობის საზარელი სურათი:

— ჯალათთა ოთხეული ნაშუაღამევს შეიპარა დაზარალებულთა ბინაში, დანებით დაადგნენ თავზე მძინარე მოხუც დებს, პირველად 80 წელს მიღწეულ ალექსანდრას დაუწყეს წამება, დანის წვერით ჩხვლეტდნენ სახეზე, სხეულზე და ფულს, ძვირფასეულობას მოითხოვდნენ. ნუ მომკლავთ, ეხვეწებოდა მოხუცი, მაგრამ ამაოდ, დანა ჩასცეს თავში და ბოლო მოუღეს. მეორე ოთახშიაც შეიჭრნენ და ასევე წამებით მოკლეს ფეოდორა, შემდეგ კი გათენებამდე ეძებდნენ ნაგულისხმევ ოქრო-ვერცხლს, დიდძალ თანხას, მაგრამ... მიაკვლიეს პენსიონერი დების დანაზოგს 1300 მანეთს, 1000 მანეთის ღირებულების ობლიგაციას, ოქროს ბეჭედს, გაიტაცეს აგრეთვე ორი ცალი ჯვარი და ოქროს კბილი, რაც იმავ დილით გაინაწილეს.

ცოტა რამ დაზარალებულთა შესახებ. ალექსანდრა გიგინეიშვილი ათეული წლების მანძილზე ფერშლად მუშაობდა რაიონის სხვა და სხვა სოფლებში, მრავალი ჯილდოც დაიმსახურა, ბოლოს პენსიაზე გავიდა და თავის საკარმიდამოში შრომობდა, ფუტკარივით დასტრიალებდა თავის ბაღ-ბოსტანს. ასევე შრომისმოყვარე ქალი იყო მისი და ფეოდორა: მრავალი წლის მანძილზე ბუღალტრად მუშაობდა ჩაის ფაბრიკაში, დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ ოჯახში თავის დასთან ერთად შრომობდა. ასე მიდიოდა წლები, მათ ტკბილ მოხუცებულობას ბევრი შენატროდა.

ამ ენით აუწერელი ბოროტმოქმედების მეორე დღეს, ერთ-ერთმა მკვლელმა — ჯუმბერ გიგინეიშვილმა ქორწილი გადაიხადა, საცოლე წინასწარ ჰყავდა არჩეული ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენობანში, მეჯვარე მეორე მკვლელი ელიზბარ ბენდელიანი იყო, რომელმაც დედოფალს თითზე ნაპარავი ბეჭედი წამოაცვა. ვინ იცის, რამდენი მილოცვა, დალოცვა, სურვილი მოისმინა იმ დღეს მკვლელმა — სიძემ, იქვე, მეზობლად კი მისგანვე დახოცილი ადამიანები ეყარნენ უპატრონოდ.

გავიდა დრო. საზიზღარი დანაშაულის კვალი გიგინეიშვილის ოჯახს მიუახლოვდა, მოგვარის და მეზობლის მკვლელმა იგრძნო მოახლოებული საშიშროება, მიატოვა ახალშერთული ცოლი და ქ. პერმში გაქცევით უშველა თავს, იქ ნათესავს შეეხიზნა, თუმცა სამართალს მაინც ვერ დაემალა.

დამნაშავენი 22-24 წლის ასაკისანი არიან.

ბეგლარ ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მიფრინავს ბიოთანამგზავრი

1989 წლის 15 სექტემბერს საბჭოთა კავშირში „სოიუზ" რაკეტამატარებლით განხორციელდა დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოს-2044"-ის გაშვება.

თანამგზავრზე არის ორი მაიმუნი და სხვა ბიოლოგიური ობიექტები, აგრეთვე სამეცნიერო აპარატურა, რომელიც გამოიკვლევს უწონობისა და კოსმოსური რადიაციის გავლენას ცხოველქმედების პროცესებზე.

14 დღის კოსმოსური ფრენის პროგრამაში მონაწილეობენ ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კანადის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, საფრანგეთის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, აგრეთვე ევროპის კოსმოსური სააგენტოს მეცნიერები.

ორი ექსპერიმენტი ეწყობა საკავშირო კონკურსის „ბიოთანამგზავრი-89"-ის მონაწილე მოსწავლეთა წინადადებით.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მოქმედებს. (საქდესი).

რედაქტორის მოადგილე
მ. უზრეხელიძე.

17 სექტემბერს 14 საათზე, მცხეთაში, „თეატრონის" შენობაში გაიხსნება

მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი

ის 25 ოქტომბრამდე გასტანს. სიმპოზიუმზე თავიანთ ხელოვნებას წარმოადგენენ იაპონელი, იტალიელი, ბულგარელი, იუგოსლაველი, გერმანელი, პოლონელი, რუმინელი, ჩეხოსლოვაკელი, საბჭოთა და ქართველი მოქანდაკეები.

სიმპოზიუმის მონაწილეთათვის დაწესებულია ფულადი პრემიები.

ტელევიზია — კვირა, 17 სექტემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა: 9.50 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ხელები მაღლა". 11.00 — გარდაქმნის წახნაგები. „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 12.00 — საკვირაო გამოფენა. 12.05 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი ჯაზ-კლუბი". 13.05 — საკვირაო გამოფენა. 13.20 — კინოაფიშა. 13.50 — „დღეს ტყის მუშაკის დღეა". 14.20 — კონცერტი ტყის მუშაკთა დაკვეთით. 15.05 — საკვირაო გამოფენა. 15.10 — „ვესტნიკი". 15.40 — ხალხური შემოქმედება. „თუ კაცი გონიერია" (ხულოს რაიონის ფოლკლორი). 16.40 — „ოდეს კაცსა დაეჭირვოს". 17.10 — შეხვედრა კომპოზიტორთან. მერაბ მერაბიშვილი. 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „XXVI საუკუნე და...". 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 21.00 — „ვერნისაჟი". 21.25 — მღერის ნუგზარ ერგემლიძე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „ეს სიმღერაა საქართველოსი". 22.55 — პრემიერა სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმისა „რვაფეხა-3". IV სერია.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.45 — სპორტლოტო. 10.00 — საბავშვო გასართობ-შემეცნებითი გადაცემა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — „მსოფლიოს გარშემო". ალმანახი. 13.30 — მხატვრული ფილმი „პრინცი ბაია". 15.00 — მუსიკალური კიოსკი. 15.30 — ჯანმრთელობა. 16.15 — მულტფილმები. 16.40 — უფროსების გულგრილობა ყმაწვილების ბედისადმი. 17.25 — „ცისარტყელა". „მალის ხალხური რიტმები". 18.00 — სოფლის საათი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. საკვირაო კინოდარბაზი. 19.45 — მულტფილმი. 20.10 — ამერიკული მხატვრული ფილმი „ბიძია თომას ქოხი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გამარჯობათ, ექიმო!". 22.55 — მხატვრული ტელეფილმი „რვაფეხა-3". IV სერია. 24.00 — „ჯაზური პორტრეტები". 0.50 — საფეხბურთო მიმოხილვა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — ტყის მუშაკის დღის გამო. დოკუმენტური ტელეფილმი. 10.10 — გადაცემა სსრკ სახალხო დეპუტატზე, მასწავლებელ ო. ა. იგუმნოვზე. 11.00 — მხატვრული ტელეფილმი „საიდუმლო მოწყალება". I სერია. 12.05 — ახალი ამბები. 12.15 — „საიდუმლო მოწყალების" II სერია. 13.20 — რუსეთის სფსრ ქალაქების ტელესტუდიები. 14.00 — ახალი ამბები. 14.10 — კინომერიდიანი. ამერიკის შეერთებულ შტატებში „საჯაროობის" ფესტივალის კვალდაკვალ. 15.10 — „სახე". ლიტერატურული თამაში უფროსკლასელებისათვის. 16.25 — „პრეზენტაცია". წარმოგიდგენთ წიგნს როკ-მუსიკაზე, რომელიც საბჭოთა კავშირში გამოვიდა. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — სპორტი ყველასათვის. „ჯუნას გაკვეთილები". 18.25 — მოკავშირე რესპუბლიკების კინოპუბლიცისტიკა. დოკუმენტური ტელეფილმი „შლეიფი". 18.55 — ფეხბურთი. მოსკოვის „დინამო" — „დნეპრი". შესვენებისას — 19.45 — კრივი. 20.50 — დ. ბრუბეკი. კომპოზიცია ორი ფორტეპიანოსათვის. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ხ. ალვენი. № 4 სიმფონია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გამარჯობათ, ექიმო!". 22.55 — ჰოკეი. მოსკოვის „დინამო" — ამერიკის „ვაშინგტონ კეპიტელზი".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07197 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14